ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 12 თებერვალი 2004 №30 (2049) ფასი 50 თეთრი





სინიშა მიხაილოვიჩმა მარკო ბორიელოს მიწა, „ლაციომ“ კი „მილანს“ ფინალი გამოაცალა



## სერი და მანჩესტერი გააBOROტეს

## მიროსლავ ვოტავა ქართველებს კარგს არ შკარგავს

### შესაძლოა, სირაძე მალე პირველი ბუნდესლიგის რომელიმე გუნდმა აიყვანოს



მიროსლავ ვოტავა ახლა და 16 წლის წინ, როცა „ვერდერს“ „დინამოსთან“ გამოუძლვა



*...სირაძე იმიტომ ავიყვანეთ, რომ შეტევაში გაძლიერება გვჭირდებოდა.*

*...იგი ისეთი ფეხბურთელია, ვისაც კარგი მომავალი უჩანს. შეუძლია, ნებისმიერ ტემპს აჰყვეს, სწრაფია და ამავე დროს კარგად კითხულობს თამაშს. აქვს უნარი, იყოს შემტევი და ამავე დროს მისი ნახევარდაცვაში გამოყენებაც შეიძლება.*

*...შესაძლოა, სირაძე მალე პირველი ბუნდესლიგის რომელიმე გუნდმა აიყვანოს.*

*...კობიაშვილი, ცქიტიშვილი და იაშვილი ბუნდესლიგის ერთ-ერთი ყველაზე კარგი მოდრიბლინგე ფეხბურთელები არიან. ცქიტიშვილსა და იაშვილს მეორე ბუნდესლიგაში თამაშის დროიდან ვიცნობ, ისინი სწორედ მეორე ბუნდესლიგაში დავაფიქსირე, და კარგია, რომ სირაძეც მათ გზას ადგას.*

ინტერვიუ მიროსლავ ვოტავასთან იხილეთ მესამე გვერდზე



## ინგლისი

პრემიერლიგა. XXV ტური

ბირმინგემი 3:0 ევერტონი
ფულემი 1:2 ასტონ ვილა
ბლექბერნი 1:1 ნიუკასლი
ჩარლტონი 2:4 ტოტენჰემი
ლივერპული 2:1 მანჩესტერ სიტი
მანჩესტერ იუნ. 2:3 მიდლსბრო
პორტსმუთი 0:2 ჩელსი

III დივიზიონი
გადადებული მატჩი

ოქსფორდი 3:2 სკანთორპი

ასოციაციის თასი
1/8 ფინალი. გადათამაშება

ტელფორდი 0:2 *მილუოლი*

## შოტლანდია

პრემიერლიგა. XXIII ტური

დანფერმლაინი 1:4 სელტიკი
ჰართსი 1:0 აბერდინი
მოზერუელი 5:3 დანდი
პარტიკი 5:2 ლივინგსტონი
რეინჯერსი 2:0 კილმარნოკი

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
გადადებული მატჩი

ლიუბეკი 1:1 დუისბურგი

## ჰოლანდია

I დივიზიონი
გადადებული მატჩები

ფეიენოორდი 0:3 ალკმაარი
დენ ჰააგი 3:1 გრონინგენი
ვალვაიკი 0:0 ჰერენვენი
როზენდალი 1:4 როდა
უტრეხტი 2:2 ტილბურგი

## ბელგია

იუპილერლიგა
გადადებული მატჩი

ლუვიე 0:4 ბრიუგე

## იტალია

თასის 1/2 ფინალი
საპასუხო მატჩი

*ლაციო* 4:0 მილანი (2:1)

## ესპანეთი

თასის 1/2 ფინალი
საპასუხო მატჩი

სევილია 1:0 *რეალი* (0:2)

## საფრანგეთი

თასის 1/8 ფინალი

*მონაკო* 4:1 ლიონი
*ამიენი* 1:0 კაენი
*შატორუ* 2:0 კრეტეი
ტულუზი 1:1დ.დ.(პენ.6:7, 1:1) *რენი*
*ნანტი* 4:0 ბრესტი
*დიჟონი* 1:1დ.დ.(პენ.4:2, 1:1) რეიმსი

## პორტუგალია

თასის 1/4 ფინალი

*ბენფიკა* 2:1 ნასიონალი
ნავალი 2:3 *ბრაგა*
რიუ ავე 1:2 *პორტუ*
*ბელენენსეში* 2:2დ.დ.(პენ.5:4, 1:1) ესტორილი

## საბერძნეთი

თასის 1/4 ფინალი
პირველი მატჩები

ოლიმპიაკოსი 1:0 პანიონიოსი
პატრაიკოსი 0:1 პანათინაიკოსი

## თურქეთი

თასის მეოთხედფინალი

*ტრაბზონი* 2:1დ.დ.(1:1) ქონია
გაზიანთეფი 0:0(პენ.4:5) *ისთანბული*
რიზე 2:4დ.დ.(2:2) *ფენერბაჰჩე*

## აფრიკის თასი

ნახევარფინალი

*ტუნისი* 1:1დ.დ.(პენ.5:3, 1:1) ნიგერია
*მაროკო* 4:0 მალი



ლაციო — მილანი. რომაელთა ოთხი გოლიდან ორი სტეფანო ფიორესი (მარჯვნივ) იყო



მანჩესტერი — მიდლსბრო. რაიან გიგზის (№11) გოლმა მასპინძლებს ვერ უშველა



ტუნისელთა საფინალო ხვევნა-კოცნა

# ლონდონიდან მაღრიბამდე რომი[illegible]

გუშინ კახა კალაძე კარგა ხნის [illegible] შესვენების მერე პირველად გავიდა მოედანზე და... რომის „სტადიო ოლიმპიკო“ სერია A-ს ლიდერმა შერცხვენილმა დატოვა. ეს ერთი კვირაა, იტალიაში 4:0 მეტად პოპულარული ანგარიშია და 4 გოლით თავს რომაული გუნდები იწონებენ. კვირას იყო, „რომამ“ ტურინის „იუვენტუსს“ რომ გადაურბინა და მთელ ევროპაში მოჭრა თავი, წუხელ კი „ლაციომ“ იტალიის თასის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში „მილანს“ უსახსოვრა 4 გოლი და ფინალში შეგრიალდა. ძალიან ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარო — აღმოხდა ნამატჩევს „შავ-წითელთა“ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის. მარტინ ლაურსენის შემხედვარეს საწუხრად კი არა, თავში საცემად ჰქონდა საქმე, მაგრამ დანიელი მცველი მთელი 90 წუთი მოედანზე დატოვა და ამ ჯეელმაც ისეთები აკეთა, წნორის „მილანის“ ფეხბურთელი გეგონებოდა კაცს.

0:4 წაგებული მატჩის მერე, იმის თქმა, კალაძემ რიგიანად ითამაშაო, ვფიქრობთ, უხერხულია, მაგრამ ტრავმამოშუშებული ჩვენებური იმ ოთხ გაშვებულ გოლში რომ უბრალო იყო, ფაქტია.

„კილმარნოკის“ დამარცხებაში კი ხელი თუ გნებავთ ფეხი, არ გამოუღიათ „რეინჯერსელ“ ქართველებს, შოთა არველაძესა და ზურაბ ხიზანიშვილს. აბა, გუნდს როგორ შეეშველებოდნენ, როცა ალექს მაკლიშმა არც ერთი და არც მეორე განაცხადშიც არ შეიყვანა. ქართველ „ჩაფართა“ უთამაშებლობის მიზეზი ცნობილია — შოთასაც და ზურასაც ტრავმები მისძალებიათ. მოკლედ, „რეინჯერსმა“ მაინც იძალა და სამი ქულა შეიმატა, მაგრამ სქოთურ პრემიერლიგაში მაინც მეორე ადგილს ტკეპნის, წინ კი 11-ქულიანი უპირატესობით კვლავ მოსისხლე „სელტიკია“, რომელმაც გუშინ „დანფერმლაინს“ სტუმრად 4:1 აჯობა.

შოტლანდიიდან ორიოდ ფეხის ნაბიჯზე, ინგლისურ ხათქა-ხუთქში კი ისეთი ამბავი გამოდნა, თქვენი მოწონებული. „ოლდ ტრეფორდს“ სტუმრობდა „მიდლსბრო“, ალექს ფერგიუსონის ოდინდელი თანაშემწე და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ავან-ჩავანის კარგად მცოდნე სტივ მაკლარენის გუნდი, რომელმაც სერ ალექსის სამფლობელოში ისეთი ამბავი დაატრიალა, ლონდონში არსენ ვენგერს სიხარულისგან შეუტოკებდა გულს.

„მიდლსბროს“ ბრაზილიელმა მსოფლიოს ჩემპიონმა ჟუნინიო პაულისტამ 34 წუთში ორჯერ საგოლედ იხეირა, „ოლდ ტრეფორდი“ მორიგი სასწაულის მოლოდინში აღრიალდა და სასწაულიც ახლოს იყო — რუუდ ვან ნისტელროის და რაიან გიგზის წყალობით 63-ე წუთზე ანგარიში 2:2 გახდა. მაგრამ გუშინ არსენ ვენგერის გული სიხარულისგან უნდა შეტოკებულიყო და ასეც მოხდა — ჟოზე-დეზირე ჟობის გოლმა „ბორო“ სამი ქულით გაამდიდრა, პრემიერლიგაში კი „არსენალმა“ „მანჩესტერი“ ხუთი ქულით მოიტოვა და ისედაც გამძაფრებულ საჩემპიონო ბრძოლას მეტი ინტრიგა შემატა.

და რა ხდებოდა ამ დროს ევროპისგან შორს, აფრიკაში?

რა და, ვინც ტუნის-ნიგერიის ნახევარფინალურ მატჩს ადევნა თვალი, დაგვეთანხმება, რომ თერთმეტმეტრიანების შესრულების ასეთი ლალი და უჩვეულო ხერხები, იშვიათად თუ უნახავს. ამ ლალობიდან კი ის გამოვიდა, რომ როჟე ლემერის ტუნისი უფრო მოხერხებული აღმოჩნდა და ფინალს უწია, სადაც მას მალის 4:0 მძლეველი მაროკო მიჰყვა — აფრიკის ეროვნებათა თასის მაღრიბული ფინალიც, ვინძლო, ფრიადი სანახავი გამოდგეს.

საფეხბურთო კლუბი ფოთის „კოლხეთი“ წუხს დიდი ქართველი კალათბურთელის, ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონის

**მიხეილ ქორქიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

საფეხბურთო კლუბი რუსთავის „გორდა“ მწუხარებას გამოთქვამს დიდი ქართველი კალათბურთელის, ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონის

**მიხეილ ქორქიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

*მიროსლავ ვოტავა წარმოშობით ჩეხია და პრაღაში დაიბადა, თუმც რა ხანია, გერმანიის მოქალაქე გახლავთ და ახლა ბერლინის „უნიონს" წვრთნის – დავით სირაძე რომ თამაშობს, ვისაც ორშაბათს დებიუტი ჰქონდა „კოტბუსთან".*
*მირკო ვოტავას სახალხო სახელია, ასე მოიხსენიებენ მას გერმანულ მედიაშიც. ეს ის მირკო გახლავთ, 1987 წელს ბრემენის „ვერდერს" რომ კაპიტნობდა და ჩვენი „დინამოს" წინააღმდეგ რომ გაიყვანა „მუსიკოსები". ბრემენში ვოტავამ კარიერის საუკეთესო წლები გაატარა, მერე კი თვით მადრიდის „რეალში" ჩაირიცხა, ხოლო ფეხბურთელის კარიერა „დორტმუნდში" დაასრულა*



# ჩემ შესახებ ჩემი წიგნი წაიკითხეთ
## როგორ აქებს მირკო სირაძეს

ვოტავას გუშინ დავურეკეთ ბერლინში და, როგორც კი წარვუდექით, სიტყვა შეგვაწყვეტინა...

— ძალიან სასიამოვნოა, რომ საქართველოდან მირეკავთ. ვიცოდი, რომ ქართველი ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში მოვხვდებოდი, რადგან თქვენი ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელი სწორედ ჩემს გუნდში თამაშობს.

**— დავით სირაძეს უკვე ჰქონდა დებიუტი თქვენს გუნდში — რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— ზოგადად, სირაძე „უნიონის" ერთ-ერთი ისეთი ფეხბურთელია, ვისაც კარგი მომავალი უჩანს. სირაძეს შეუძლია, ნებისმიერი ტემპს აჰყვეს, სწრაფია და ამავე დროს კარგად კითხულობს თამაშს. აქვს უნარი, იყოს შემტევი და ამავე დროს მისი ნახევარდაცვაში გამოყენებაც შეიძლება.

**— რას გულისხმობთ სირაძის კარგ მომავალში? ამ ეტაპზე მას რისი მიღწევა შეუძლია?**

— ბუნდესლიგა, პირველიც და მეორეც, ძალიან ძნელად პროგნოზირებადია და შესაძლოა, სირაძე მალე პირველი ბუნდესლიგის რომელიმე გუნდმა აიყვანოს. ჩვენ კი ეს ფეხბურთელი იმიტომ ავიყვანეთ, რომ გაძლიერება გვჭირდებოდა შეტევაში — თავდასხმაში და ოდნავ უკან.

**— გასაგებია, მაგრამ პირველ და მეორე ბუნდესლიგებს შორის ალბათ არცთუ მცირე სხვაობაა — უახლოეს მომავალში სირაძე შეძლებს პირველ ბუნდესლიგაში თამაშს?**

— ვფიქრობ, პირველ და მეორე ბუნდესლიგებს შორის დიდი სხვაობა სულაც არაა. მეორე ბუნდესლიგაში ფეხბურთელთა გამძლეობა და ბრძოლისუნარიანობა ალბათ უფრო დიდია, ვიდრე პირველში, მაგრამ ზედა ბუნდესლიგაში არის იმის შანსი, რომ შენი ოსტატობა უფრო კარგად წარმოაჩინო, რადგან პირველ ბუნდესლიგაში ისე ხისტად არ თამაშობენ, როგორც მეორეში.

**— სირაძე საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ თავით თამაშში — ალბათ ამიტომაც მოისურვეთ მისი „უნიონში" ჩარიცხვა...**

— თუ ბუნდესლიგაში თამაში გსურს, ყველა კომპონენტში ძლიერი უნდა იყო. ასე რომ, ამაზე ყურადღების გამახვილება არ ღირს. ჩემს გუნდში თავით კარგად მოთამაშე ბევრი ფეხბურთელია, მათ შორის სირაძეც.

**— ბუნდესლიგაში მოთამაშე ქართველებზე რას იტყოდით?**

— კობიაშვილი, ცქიტიშვილი და იაშვილი ბუნდესლიგის ერთ-ერთი ყველაზე კარგი მოდრიბლინგე ფეხბურთელები არიან. ცქიტიშვილსა და იაშვილს მეორე ბუნდესლიგაში თამაშის დროიდან ვიცნობ, ისინი სწორედ მეორე ბუნდესლიგაში დავაკვალცდნენ და კარგია, რომ სირაძეც მათ გზას ადგას.

**— ალბათ გახსოვთ 1987 წელი, როცა თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ ითამაშეთ...**

— რა თქმა უნდა, მახსოვს, მახსოვს თბილისიც და თბილისური მატჩიც. ამის შესახებ ჩემს ავტობიოგრაფიულ წიგნში შეგიძლიათ წაიკითხოთ. ვერდერული კარიერის წლები დიდებული იყო, ამის მოყოლას ერთი ინტერვიუ არ ეყოფა, საერთოდ კი, ინტერვიუს ძალიან იშვიათად ვიძლევი, მაგრამ თქვენ საქართველოდან დარეკეთ...

**დავით თავართქილაძე**



16 წლის წინ თბილისში „ვერდერის" კაპიტან მიროსლავ ვოტავას დინამოელი ახრიკ ცვეიბაც უტევდა

# ესეც პატარა თანამეგობრობა

**გუშინწინ** უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ ფაქსი მიიღო — რიგის „სკონტომ" ოფიციალურად დაადასტურა ვალერი ლობანოვსკის სახელობის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობაზე თანხმობა. ამით ტურნირის სრული შემადგენლობაც გაირკვა: კიევის „დინამო", თბილისის „დინამო", ტირასპოლის „შერიფი" და რიგის „სკონტო".

ტურნირი 12-14 მაისს კიევში ჩატარდება. საინტერესოა, რომ მონაწილეთაგან სამი „თანამეგობრობის თასის" ბოლო სამი გათამაშების [illegible]ვებულია, „სკონტომ" კი ბოლო ოთხ წელიწადში სამი ფინალი ითამაშა.

გაირკვა ისიც, რომ ტურნირის საპრიზო ფონდი 125 ათასი დოლარი იქნება.

# შენც ალანიაზე მირეკავ?



**ვლადიკავკაზის** „ალანიას" უკვე შეძენილი გვაზავას, დარასელიასა და კალაძის გარდა ორი გიორგის, შაშიაშვილისა და ნემსაძის გადაბირებაც სურს. შაშიაშვილის აზრი ამის თაობაზე ადრევე გაგაცანით, ნაკრების კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ კი კითხვა არ გვაცალა და თავად დაიწყო...

— ახლა არ მითხრა, „ალანიასთან" ტრანსფერის გამო აგორებული ხმების თაობაზე გირეკავო.

**— რატომ, სიმართლე არ არის?**

— როგორც ჩანს, გარკვეული დაინტერესება მართლაც არსებობს, რადგან ძალიან ბევრი მირეკავს, მეკითხება და არა მხოლოდ ჟურნალისტები. ჩემთვის პირადად არავის მოუმართავს და რამდენადაც ვიცი, არც კლუბისთვის. საიდან აგორდა ეს მითქმა-მოთქმა, არ ვიცი.

**— სულ ცოტა ხნის წინ თავისუფალი აგენტი იყავი, თუ გადაბირება სურდათ, ამაზე უკეთეს ვარიანტს რას ნახავდნენ?**

— ახლაც თავისუფალი ვარ, უბრალოდ, „დინამოს" ხელმძღვანელობას პირობებზე შევუთანხმდი. თუმცა, ვინმე რომ შემხმიანებოდა, კლუბის ხელმძღვანელებს საქმის კურსში მაინც ჩავაყენებდი, სხვა თუ არაფერი, ნამუსის ამბავია.

**დავით ერაძე**

# შტურმანებმა თავისი ადგილი იციან

*თურქული შეკრებიდან გრაცში დაბრუნდა ავსტრიული „შტურმი". დავით მუჯირის გუნდმა ანთალიიდან გამომგზავრების წინ იქაური საერთაშორისო ტურნირის ფინალი ითამაშა რუმინულ „რაპიდთან". „შტურმს" ნახევარფინალში ბელგრადის ოფკ ჰყავდა გაგდებული ჩვენებურის გოლით, ფინალში კი 2:3 დამარცხდა. დავით მუჯირს გოლით თავი არ გამოუჩენია, ქართველი ნახევარმცველი მეორე ტაიმიდან ჩაერთო თამაშში...*



**— ანთალიურ ტურნირზე ფინალამდე შეუცვლელად თამაშობდი და გოლებიც გაგქონდა...**

— „რაპიდთან" მწვრთნელმა ორი შემადგენლობით არჩია თამაში. პირველ ნახევარში სათადარიგოები შეუშვა მოედანზე და შესვენების წინ ანგარიში 3:1 იყო რუმინელთა სასარგებლოდ, ძირითადებმა მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა მოვახერხეთ. ვფიქრობ, თავიდანვე რომ ჩვენ გვეთამაშა, არ წავაგებდით.

**— საშუასეზონოდ მხოლოდ მეკარე შეიძინეთ, სატრანსფერო ფანჯარა ავსტრიაში უკვე დაიხურა. რატომ იპასიურა „შტურმმა" ამ მხრივ?**

— გუნდის ხელმძღვანელები თვლიან, რომ იმ კონტინგენტით, რაც გვყავს, სრულიად შესაძლებელია ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება. მეკარეც იმიტომ აიყვანეს, რომ ბელგიელი ჟილ დე ბილდე ვეტერანია და კონტრაქტი უმთავრდება. მეც ვფიქრობ, რომ ამ შემადგენლობით არ უნდა გაგვიჭირდეს უმთავრესი მიზნის მიღწევა — ბუნდესლიგაში დარჩენა.

**— ავსტრიული თასისთვის ბრძოლა არ დაისახეთ მიზნად?**

— რა თქმა უნდა, ამ გზით ხომ უეფაზე გასვლა შეიძლება, მაგრამ თასისთვის ბრძოლა ძალიან გაგვიჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ მეოთხედფინალში შინ ვხვდებით „პაშინგს".

**პაატა ქვანტალიანი**



ჭერაც დისკვალიფიცირებულ მერაბ ძოძუაშვილს ამხანაგურებში გააქვს

# აბა. მუხრანის სპარინგი

**გუშინ** მუხრანში მესამე საკონტროლო მატჩი გამართა გორის „დილამ". ქართლელები რეგიონალლიგელ „პრემას" შეხვდნენ. შეგახსენებთ, „დილამ" პირველ საკონტროლო თამაშში პირველლიგელ „ამერთან" თბილისში 0:0 ითამაშა, მერე კი „ლოკომოტივთან" 0:4 დამარცხდა.

„დილამ" ჯერაც ვერ მოახერხა „საგარეო" შეკრების მოწყობა და გუნდის თავკაც ზურაბ ხორგუაშვილს, ბუნებრივია, საწვრთნელად გორიდან გასვლაც სურს — ამინდმა თუ ხელი შეგვიწყო, ერთი-ორი კვირით დასავლეთში ვარჯიში და იქ საკონტროლო მატჩები არ გვაწყენდაო.

„პრემასთან" „დილამ" ორი ახალწვეული გამოსცადა — ექსლოკომოტიველი ბესიკ ვლასოვი და დინამოელი მცველი ბორის შელია. უმაღლესლიგელმა რეგიონალლიგელს 2:1 მოუგო. გორელთაგან გოლები ძოძუაშვილმა და მუშკუდიანმა გაიტანეს.

# კოლხეთი ცას უყურებს

**გუშინ** საბოლოოდ გადაწყდა — ექსტორპედოელი ზვიად ქუთათელაძე „კოლხეთში" ითამაშებს. ქუთათელაძეს რუსულ პირველ ლიგაში თამაშის ვარიანტები ჰქონდა, თუმც საბოლოოდ კოლხებმა და სეზონის ბოლომდე „ფაზისზე" დარჩება.

კოლხეთის მწვრთნელი გია ტყებუჩავა ახალი შენაძენით კმაყოფილია.

— ქუთათელაძე ჭკვიანი ფეხბურთელია და უმაღლეს ლიგაში დარჩენას ერთიორად გაგვიიოლებს, მჯერა, გუნდს დიდ სარგებლობას მოუტანს — გვითხრა ტყებუჩავამ, გუშინ რომ შევეხმიანეთ.

ეს ტრანსფერი კი გაჩარხეს კოლხებმა, მაგრამ პრობლემები კვლავაც არ ელევათ. ჯერაც გაურკვეველია, გაემგზავრება თუ არა გუნდი უცხოურ შეკრებაზე. ათი დღის წინ ტყებუჩავა იმედიანად იყო, გადაწყვეტილია, ანთალიაში მივდივართო, თუმცა „კოლხეთს" საანთალიო პირი ჯერ არ უჩანს, მეტიც, გამორიცხული არ არის, საერთოდ ვერ წავიდეს თურქეთში მოსამზადებლად.

ტყებუჩავას საწვრთნელად შინაური პირობებიც არ უწყობს ხელს. მეოთხე დღეა, გადაუღებლად წვიმს და სავარჯიშოდ მოედანზე შესვლა გამორიცხულიაო, გვითხრა მწვრთნელმა. „კოლხებს" საკონტროლოდ „ბათუმი" და „სამგურალი" ჰყავთ შეგულებული, მაგრამ ავდრის გამო თამაში არა და არ ხერხდება. ამინდის გადამკიდე, ბათუმიდან გრიგოლეთამდე რომ დაიაროთ, სათამაშოდ ვარგის მოედანს ვერ ნახავთო, თქვა ტყებუჩავამ.

**პაატა ძვანტალიანი**

# ქინქლაძე ნაკრებთან მიდის



**ინგლისურ** „ლიდსში" მოვარჯიშე და კონტრაქტის მომლოდინე გიორგი ქინქლაძე საქართველოს ნაკრებს კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე ჩააკითხავს. გიო კუნძულზე 15 თებერვალს გუნდთან ერთად არ გაფრინდება, თუმც რუმინეთთან 18 თებერვლის მატჩისთვის კვიპროსზე იქნება. იქამდე კი უსაშველოდ გაჯანჯლებული საკონტრაქტო საქმის მოგვარების და „ლიდსში" სეზონის ბოლომდე დარჩენის იმედი აქვს.

— სამშაბათს „ლიდსმა" უმნიშვნელოვანესი სამი ქულა აიღო და პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნების შანსი დაიტოვა. — გვითხრა ქინქლაძემ, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით — „ვულვზთან" მოგებული მატჩის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობა იმედმოცემული მეჩვენა და შესაძლოა, ამ დღეებში კონტრაქტზე დავილაპარაკოთ. ჯერჯერობით კი ისინი არაფერს ამბობენ. ვნახოთ, ამ კვირაში თუ ეს საქმე არა გამოვიდა, ვიმედოვნებ, კვიპროსიდან დაბრუნებულს კლუბში ფინანსური პრობლემები გაუმჯობესებული დამხვდება. კვიპროსზე კი ორშაბათ-სამშაბათს გავფრინდები და მწვრთნელი ვინც იქნება, ალბათ ნაკრებში თამაშის საშუალებას მომცემს.

შეგახსენებთ, გიორგი ქინქლაძე „ლიდსში" შარშან ნაახალწლევს მივიდა, დღემდე იქ ვარჯიშობს, თუმც კონტრაქტზე ხელმოწერა ჯერ ვერ მოახერხა.

**ქობა ინასარიძე**

# გოლი ძმობისა და გოლი იმედისა

*ესპანურ შეკრებაზე მყოფმა დონეცკის „მეტალურგმა" გუშინწინ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. დონბასელთა მეტოქე იქაური დაბალლიგელი „ლანსა" იყო. „მეტალურგმა" გიორგი დემეტრაძის გოლით მოიგო და ეს პირველი გამარჯვება იყო ესპანეთში*



„ლანსასთან" დემეტრაძემ ექიმს უხმო, თავისთვის არა, თანაგუნდელისთვის

ორივე ქართველმა, გოჩა ჯამარაულმა და დემეტრაძემ, ძირითად შემადგენლობაში საკმაოდ აქტიურად ითამაშა. მწვრთნელმა ჩვენებურები პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალა, თუმც დემეტრაძეს 78-ე წუთზე მაინც მოუხდა მოედანზე შესვლა დაშავებული იაკსმანიცკის ნაცვლად.

„მეტალურგმა" მატჩის ერთადერთი გოლი 24-ე წუთზე გაიტანა — ჯამარაულის უზუსტესი პასისას დემეტრაძემ ბურთი ერთი შეხებით მოათვინიერა და 14-ოდე მეტრიდან აუღებელი დაურტყა „ლანსას" მეკარეს.

უკრაინაში გადახვეწილ ქართველთაგან გიორგი იმედაძეც გამოირჩა. სიმფეროპოლის „ტავრიაში" გასასინჯად მიწვეულმა 23 წლის თავდამსხმელმა ამხანაგურ მატჩში „ზირკას" გაუტანა და ტავრიელებმაც 1:0 მოიგეს. შეგახსენებთ, რომ „ტავრია" შეკრებას ყირიმში გადის და სწორედ ამ შეკრების შემდეგ გადაწყდება, დარჩება თუ არა იმედაძე გუნდში, სადაც უკვე სამი ყოფილი ტორპედოელი ირიცხება — გრიგოლ ჭანტურია, ზურაბ იონანიძე და კახა ჩხეტიანი.

**კახა ზალამბერიძე**

# ვოლინში დამლაგებელი სჭირდებათ

**ანთალიაში** მყოფმა ლუცკის „ვოლინმა" პირველი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. ჩვენს ინტერესს ამ კლუბის მიმართ სამი ჩვენებური აღძრავს: ვაშაკიძემ, გონჩაროვმა და მალანიამ „ვოლინის" შემადგენლობაში პირველად ითამაშეს. ნამატჩევს ირაკლი ვაშაკიძეს გავესაუბრეთ.

**— ვინ და რა ძალის იყო თვენი პირველი მეტოქე?**

— რუმინეთის უმაღლესი ლიგის საშუალო დონის კლუბი, რომელთანაც 0:1 წავაგეთ.

**— სამივემ ითამაშეთ?**

— მე კუნთის მცირე სპაზმა დამემართა და 35-ე წუთზე შემცვალეს. გონჩაროვმა 75 წუთი ითამაშა, მალანიამ კი ბოლო 20 წუთი.

**— თამაშზე რას იტყვი?**

— საოცრად დაულაგებელი და ჭრელი გუნდი გვყავს, შინაურულად რომ ვთქვათ, ჯერ ბანდაა. კიდევ კარგი, უფრო დიდი ანგარიშით არ წავაგეთ. „არსენალში" თამაში გაცილებით ადვილი იყო თუნდაც იმიტომ, რომ იქ ყველამ იცოდა, რა უნდა ეკეთებინა. აქ ბურთის ჭკვიანური გაგორება ჯერ ჭირს.

მოკლედ, ვნახოთ, 18 თებერვალამდე „ვოლინთან" ვივარჯიშებ და საბოლოოდ მერე გაირკვევა ყველაფერი.

**დავით ერაძე**

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

# ჩვენი მეტოქეები

# ლურჯ-ყვითლები საქადაფეში

## უკრაინა

**მსოფლიოს** ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩვენი თანაჯგუფელი უკრაინელები რომ საქმიან-თადარიგიანი ხალხია, ეს მათი საამსეზონო გეგმიდანაც ჩანს. ლურჯ-ყვითლებს არც მწვრთნელის პრობლემა აწუხებთ და საკონტროლო მატჩებისთვის მეტოქეებიც შეგულებული ჰყავთ.

უკრაინელები 18 თებერვალს ლიბიასთან ტრიპოლიში გამართავენ ამხანაგურ მატჩს. ბოლო დროს ლიბიელები აფრიკულ ფეხბურთში ყოჩაღობენ. სხვათა შორის, სარეიტინგო ცხრილში საქართველოზე წინ არიან და ბოლო ოთხი მატჩია, არ დამარცხებულან, გატანილ-მიღებული ბურთების ბალანსიც შთამბეჭდავი აქვთ — 17:2. ამიტომაც უკრაინელები ძირითადი შემადგენლობის ჩაყვანას გეგმავენ აფრიკაში. ოლეგ ბლოხინი ყველა წამყვანი ლეგიონერის გამოძახებას აპირებს და შემადგენლობას კვირის ბოლომდე დაასახელებს.

ტრიპოლიში ითამაშებს უკრაინის ახალგაზრდული ნაკრებიც, რომელიც ჩვენი 21-წლამდელების მეტოქეა. ახალგაზრდულის მწვრთნელმა პაველ იაკოვენკომ 22-კაციანი განაცხადი უკვე შეადგინა და ამათგან 18 ფეხბურთელს ჩაიყვანს ტრიპოლიში.

### უკრაინის ახალგაზრდული

*მეკარეები:* *სტანისლავ ბოგუში (მეტალურგი, ზაპოროჟიე), ევგენი შირიაევი (ჩერნომორეცი), ანდრი პიატოვი (ვორსკლა-ნეფტეგაზი);*

*მცველები:* *ანდრი პროშინი, სერგეი პუჩკოვი, გრიგორი იარმაში, ანდრი ბაშლაი (დინამო, კიევი), ოლეგ გუმენიუკი (შერიფი, მოლდოვა), ნიკოლაი იშჩენკო (კარპატი), ევგენი ჩებერიაჩკო (ზაკარპატიე), ანდრი ხანასი (ცსკა, რუსეთი), დმიტრი ჩიგრინსკი (შახტარი);*

*ნახევარმცველები:* *ალექსანდრ ალიევი, ალექსანდრ სიტნიკი, სერგეი როჟოკი, ანდრი ობერემკო (დინამო, კიევი), ალექსი გოდინი (მეტალურგი, ზაპოროჟიე), სერგეი პილიპჩუკი (მეტალისტი), რუსლან ერმოლენკო (ნივა);*

*თავდამსხმელები:* *დმიტრი ბროვკინი, დმიტრი ვორობეი (დინამო, კიევი), ვიტალი ნესინი (დნიპრო).*

# მორტენ ოლსენმა ბიჭები გადათვალა

## დანია

**18 თებერვალი** ევროპაში ამხანაგური მატჩების დღეა. ზაფხულში პორტუგალიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის მონაწილე გუნდები გამალებულ სამზადისში არიან.

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქეები თურქეთი და დანია არიან. ჰოდა, ესენი უკვე ერთ კვირაში მოუსინჯავენ ერთმანეთს კბილს.

ევროჩემპიონატის მონაწილე დანიის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა, მისი თურქი კოლეგისგან, შენოლ გიუნეშისგან განსხვავებით, უკვე გამოაცხადა შემადგენლობა. მისი რჩეული სულ 18 ფეხბურთელია, თურქულ ქალაქ ადანაშიც ესენი ჩავლენ:

*მეკარეები:* *თომას სორენსენი (ასტონ ვილა, ინგლისი), პეტერ სკოვ-იენსენი (მიდტიულანდი);*

*მცველები:* *თომას ჰელვეგი (ინტერი, იტალია), მარტინ ლაურსენი (მილანი, იტალია), რენე ჰენრიკსენი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ნიკლას იენსენი (დორტმუნდი, გერმანია), პერ კროლდრუპი (უდინეზე, იტალია), ბრაიან პრისკე (გენკი, ბელგია);*

*ნახევარმცველები:* *იესპერ გრონკიაერი (ჩელსი, ინგლისი), თომას გრავესენი (ევერტონი, ინგლისი), კლაუს იენსენი (ჩარლტონი, ინგლისი), დანიელ იენსენი (მურსია, ესპანეთი), კრისტიან პოულსენი (შალკე, გერმანია), მარტინ იორგენსენი (უდინეზე, იტალია);*

*თავდამსხმელები:* *იონ დალ ტომასონი (მილანი, იტალია), ებე სანდი (შალკე, გერმანია), პეტერ მადსენი (ბოხუმი, გერმანია), კენეტ პერესი (ალკმაარი, ჰოლანდია)*



გაგა ჯოლოსაძის ფოტო

უკრაინელ ალექსანდრ ალიევს (№10) თბილისში უკვე უთამაშია

REUTERS ფოტოები



არსენალი — საუთჰემპტონი. ტიერი ანრის მეასე პრემიერლიგური გოლი

# 100+1=ანრის

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXV ტური

**არსენალი 2:0 საუთჰემპტონი**

1:0, 2:0 ანრი (31, 90)

**არსენალი:** ლემანი, ლორენი, ს. კემპბელი, კ. ტურე, ეშლი კოული, პარლოუ, ვიეირა, ჟილბერტო სილვა, პირესი, ანრი, რეიესი (კლიჩი 74)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

**საუთჰემპტონი:** ნიემი, კენტონი, მიხაელ სვენსონი, ჰიგინბოთემი, კრეინი, ტელფერი, ა. სვენსონი (ბაირდი 27; ბიტი 81), დელაპი, ლე სო (პახარსი 82), ორმეროდი, ფილიპსი

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

გაფრთხილება: ვიეირა, პარლოუ, ბაირდი, ნიემი, მიხაელ სვენსონი

მსაჯი: ბერი

38 007 მაყურებელი

**ლიდსი 4:1 ვულვერჰემპტონი**

1:0 სმიტი (14), 1:1 განია (21), 2:1 მატეო (41), 3:1 მილნერი (62), 4:1 ვიდუკა (90)

**ლიდსი:** პ. რობინსონი, გ. კელი, ს. კოლდუელი, მატეო, დომი (ჰარტი 46), პენანტი, ბაკე, ს. ჯონსონი, მილნერი, ვიდუკა, ა. სმიტი

მწვრთნელი: ედი გრეი

**ვულვერჰემპტონი:** პ. ჯოუნსი, ირვინი, ბატლერი, კრადოკი, ნეილორი, კ. მილერი (სილასი 62), რაე, კამერონი, კენედი, კორტი (ივერსენი 77), განია

მწვრთნელი: დეივ ჯონსი

გაფრთხილება: ბაკე, კამერონი, ირვინი

მსაჯი: დინი

36 867 მაყურებელი

**ლესტერი 1:1 ბოლტონი**

1:0 ფერდინანდი (16), 1:1 უოქერი (33ს.კ.)

**ლესტერი:** უოქერი, შიმეკა, დაბიზასი, ტაგარტი, ტეტჩერი, მ. ბენტი (სკოუკროფტი 36), ფროინდი, ნალისი (დავიდსონი 76), გაპი (ჯ. სტიუარტი 83), ლ. ფერდინანდი, დიკოვი

მწვრთნელი: მიკი ადამსი

**ბოლტონი:** იასკელაინენი, ბერნესი, ნგოტი, ტომე, ჩარლტონი, ნოლანი, ფრანდსენი, კამპო, პედერსენი, ჯორკაეფი, კ. დევისი (ხავი მორენო 81)

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

გაფრთხილება: ტეტჩერი, ნოლანი, დევისი

მსაჯი: რენიე

26 674 მაყურებელი

შუა კვირაში წამოწყებული პრემიერლიგის 25-ე ტური მორიგი გამარჯვებით გახსნა „არსენალმა", რომელმაც „ჰაიბერიზე" 2:0 მოუგო „საუთჰემპტონს". თამაშის 31-ე წუთზე რობერ პირესმა კარის წინ გაუჭრა ბურთი ტიერი ანრის, რომელიც ეგებ თამაშგარეშიც იყო და ამანაც ჩვეულ სტილში გაიტანა.

ეს გამოდგა ანრის მე-100 მეთოფური გოლი, თუმცა, სამშაბათ საღამოს „არსენალი" ვერ ჩანდა ისეთი აწყობილი და სწრაფი, როგორც ჩვეულებრივ. „საუთჰემპტონს" კი ბევრი რამ ჰქონდა სადავო ამ მატჩში: პირველი გოლისას თამაშგარეს რომ შევეშვათ, სამხრეთელები პენალტსაც ითხოვდნენ, იენს ლემანმა ბრეტ ორმეროდი მოცელაო. სადავო იყო თამაშის მეორე გოლიც, რომელიც 90-ს მიმატებულ წუთზე გაიტანა იმავე ანრიმ: გოლამდე რეი პარლოუმ დენი ჰიგინბოთემი წააქცია, მსაჯი კი დადუმდაო — მიიჩნევდნენ სტუმრები.

საერთოდ, ეს თამაში „საუთჰემპტონისთვის" ნერვიულ ფონზე ჩატარდა — კვლავაც მიმდინარეობს მითქმა-მოთქმა კლუბის მენეჯერად გლენ ჰოდლის დაბრუნების შესახებ. კლუბის გულშემატკივრების ერთი ნაწილი ეწინააღმდეგება ამგვარ სურვილს, რახან ორწელიწადნახევრის წინ ჰოდლმა შუა სეზონში გულცივად მიატოვა „საუთჰემპტონი". კლუბის ქომაგებმა „ჰაიბერიზეც" გამოფინეს პლაკატები, უარი ჰოდლსო.

„არსენალი" კი აგრძელებს 25-მატჩიან წაუგებელ სერიას და ლიდერობასაც ინარჩუნებს.

ექვსტურიანი ზედიზედი მარცხების შემდეგ იმარჯვა „ლიდსმა" და ბოლო ადგილიდან დაიძრა. გუნდმა 4:1 მოუგო „ვულვზს" და ბოლო ადგილი ბოლოსწინაში გაუცვალა. თამაშის სული და გული იყო ალან სმიტი, რომელმაც გახსნა კიდეც ანგარიში. ზედიზედ მეორე ტურია, ვიორელ განია ანგარიშს ათანაბრებს, თუმცა, „ვულვზი" მაინც აგებს. დომინიკ მატეომ, ჯეიმს მილნერმა და მარკ ვიდუკამ „ელანდ როუდს" ერთ საღამოს მაინც დაუბრუნეს ხალისი.

ამ დროს კი აჭრილია „ლესტერის" ნაცადი მეკარე იან უოქერი, რომელსაც გასულ საშინაო მატჩში ჩხუბი მოუხდა მოედანზე გადამხტარ საკუთარ გულშემატკივართან. სამშაბათ საღამოს უოქერმა ქულა აჩუქა „ბოლტონს", როცა კევინ დევისის იოლად დარტყმული ბურთი გაუცურდა ხელებიდან და კარის ხაზს იქით გაგორდა. ეს თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე მოხდა. მანამდე კი „ლესტერი" მთელ საათს იგებდა ლეს ფერდინანდის თავურით. ამ ფრემ „ლესტერი" ბოლო სამეულში გააგდო. სხვაობა ზემოთ მყოფ „პორტსმუთთან" ორი ქულაა, „ლიდსთან" და „ვულვზთან" თითო.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 25 | 18 | 7 | 0 | 49:16 | 61 |
| მანჩესტერი | 24 | 18 | 2 | 4 | 47:20 | 56 |
| ჩელსი | 24 | 16 | 4 | 4 | 44:19 | 52 |
| ნიუკასლი | 24 | 9 | 10 | 5 | 34:25 | 37 |
| ჩარლტონი | 24 | 10 | 7 | 7 | 32:26 | 37 |
| ლივერპული | 24 | 9 | 8 | 7 | 34:26 | 35 |
| ფულემი | 24 | 10 | 5 | 9 | 36:33 | 35 |
| ბოლტონი | 25 | 8 | 10 | 7 | 31:37 | 34 |
| ასტონ ვილა | 24 | 9 | 6 | 9 | 28:27 | 33 |
| ბირმინგემი | 23 | 8 | 8 | 7 | 20:26 | 32 |
| საუთჰემპტონი | 25 | 8 | 7 | 10 | 23:23 | 31 |
| ტოტენჰემი | 24 | 9 | 3 | 12 | 31:36 | 30 |
| მიდლსბრო | 23 | 7 | 7 | 9 | 23:27 | 28 |
| ბლექბერნი | 24 | 7 | 5 | 12 | 35:39 | 26 |
| ევერტონი | 24 | 6 | 7 | 11 | 28:33 | 25 |
| სიტი | 24 | 5 | 9 | 10 | 32:35 | 24 |
| პორტსმუთი | 24 | 6 | 5 | 13 | 28:37 | 23 |
| ლესტერი | 25 | 4 | 9 | 12 | 33:47 | 21 |
| ლიდსი | 25 | 5 | 5 | 15 | 23:50 | 20 |
| ვულვზი | 25 | 4 | 8 | 13 | 22:51 | 20 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 19 |
| ვან ნისტელროოი (მანჩესტერ იუნ.) | 17 |
| შირერი (ნიუკასლი) | 16 |
| საჰა (ფულემი/მანჩესტერ იუნ.) | 16 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 12 |

# არ იყიდება! ვენგერის უკმეხი პასუხი კეირუშის ფრანგულ ოცნებაზე

**გუშინწინ** არსენალელმა ტიერი ანრიმ „საუთჰემპტონს" პრემიერლიგაში თავისი მეასე და ასმეერთე გოლები გაუტანა. ასეთი შედეგისთვის ოდენ თერთმეტ ფეხბურთელს მიუღწევია, მათგან არაინგლისელი კი ორნი არან — ანრი და დუაიტ იორკი.

თუმცა ეს ამბავი სულ სხვა რამის გამო მოვყევით. საქმე ის არის, რომ კარლუშ კეირუშმა, ვინაც მოგეხსენებათ, მადრიდის „რეალის" მწვრთნელია, თქვა, მომავალ ზაფხულს ანრის გადაბირებას ვეცდებითო. რადიო „მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილმა მეორე მწვრთნელმა განაცხადა: „ჩვენი მიზანი ტიერი ანრის, რუუდ ვან ნისტელროოის ან ფრანჩესკო ტოტის ყიდვაა. პირადად მე ამ სამეულიდან ფრანგს ვარჩევდი. მას უნიკალური ნიჭი აქვს — საგოლე პასის მიცემაც შეუძლია და გოლის გატანაც."

კეირუშის ამ განცხადებას უმალ მოჰყვა „არსენალის" მენეჯერის არსენ ვენგერის პასუხიც, თან საკმაოდ უკმეხი.

— მე რომ „რეალის" ფეხბურთელის ყიდვა მინდოდეს, ამის საჯაროდ გაცხადების ნაცვლად, კლუბს დაველაპარაკებოდი. მსგავსი განცხადებების კეთება, ვფიქრობ, პირველ რიგში თავად „რეალის" ფეხბურთელებისთვის უნდა იყოს შეურაცხმყოფელი და მერე „არსენალისთვისაც". სოლიდური ხალხი ასე არ იქცევა. ჯერ კლუბს ელაპარაკებიან და თუ გარიგება შედგა, ჟურნალისტებთან მერე ლაპარაკობენ. ანრის „რეალში" გადასვლაზე კი ლაპარაკიც არ მსურს. მადრიდელები ამბობენ, რომ ფასზე როგორმე შევთანხმდებითო. ესეც არასოლიდური განცხადებაა, როცა ვამბობთ, რომ ფეხბურთელი არ იყიდება, ფასზე მოლაპარაკებას ვერ გავმართავთ.

**ირაკლი ნინიძე**



არსენ ვენგერი

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XXIII ტური

**დანდი იუნ. 0:0 ჰიბერნიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 22 | 21 | 1 | 0 | 71:9 | 64 |
| რეინჯერსი | 22 | 17 | 2 | 3 | 46:18 | 53 |
| ჰართსი | 21 | 11 | 3 | 7 | 30:24 | 36 |
| დანფერმლაინი | 22 | 9 | 7 | 6 | 27:29 | 34 |
| ჰიბერნიანი | 23 | 7 | 6 | 10 | 23:35 | 27 |
| დანდი იუნ. | 23 | 7 | 6 | 10 | 23:36 | 27 |
| ლივინგსტონი | 21 | 6 | 8 | 7 | 22:23 | 26 |
| დანდი | 22 | 6 | 7 | 9 | 26:30 | 25 |
| მოზერუელი | 21 | 6 | 6 | 9 | 20:24 | 24 |
| კილმარნოკი | 22 | 6 | 3 | 13 | 26:49 | 21 |
| აბერდინი | 21 | 5 | 4 | 12 | 26:40 | 19 |
| პარტიკ თისლი | 22 | 2 | 3 | 17 | 20:43 | 9 |

## თურქეთი

### თასის 1/4 ფინალი

**გენჩლერი 2:0 დენიზლი**

1:0 სერქანი (31), 2:0 ვეისელი (44)

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# ოსერი ბრივთან გაზრიყვდა

## საფრანგეთი

**თასის 1/8 ფინალი**

**ბრივი 1:0 ოსერი**

1:0 დება (53)

**პსჟ 2:0 ბაიონი**

1:0 ფიორეზე (68), 2:0 პაულეტა (80)



ბრიველთა ალალი სიხარული

საფრანგეთის თასს ახალი მფლობელი ეყოლება. გათამაშების მესამე ეტაპზე მფლობელი „ოსერი" „ბრივთან" დამარცხდა.

ვინ არის „ბრივი"? ფეხბურთის მცოდნეები ამ გუნდს პირველ და მეორე ფრანგულ დივიზიონებში ძებნას, ცხადია, არ დაუწყებთ. მესამე დივიზიონში ძებნაც ამაოდ ჩაივლის. „ბრივი" მეოთხე დივიზიონის გუნდია და როცა პირველი დივიზიონის გუნდი და თანაც თასის მფლობელი მასთან მარცხდება...

„ოსერს" წინა ცხრა შეხვედრაში გოლი არ გაუშვია, არადა მეტოქეებად ძლიერი გუნდები ჰყავდა. ამ დროს კი მავანმა მოყვარულმა მცველმა მანუელ დებამ ოსერელთა სერია შეწყვიტა და მგონი პირველად ელირსა გაზეთების ფურცლებზე გამოჭიმვა.

ამის საპირისპიროდ, „პარი სენ ჟერმენმა", რომელიც „ოსერმა" შარშანდელ ფინალში დაამარცხა, სხვა მეოთხედივიზიონელს სძლია.

„ოსერის" მარცხს მივუბრუნდეთ. თამაში 14 ათასი ბრიველი ქომაგის თვალწინ ჩატარდა. პირველი ტაიმის მიწურულს უპირველესმა ფრანგმა ბომბარდირმა ჯიბრილ სისემ გოლი კი გაიტანა, მაგრამ ოფსაიდის გამო გაუუქმეს. სისემ თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრეც შეაგდო, მაგრამ მსაჯმა არც მისი ჩათვლა ინება.

# ახლა სიკვდილიც შეიძლება

## სკოლის მასწავლებლის და დასტინ ჰოფმანის ფანის გუნდი

**მანუელ** დება დილას შვიდის ნახევარზე დგება, ხელ-პირს იბანს, საუზმობს და სკოლაში მიდის. ის სკოლაში არ სწავლობს, იქით ასწავლის. გაკვეთილების დამთავრების მერე დება სავარჯიშოდ მიდის, მერე კი სახლში ბრუნდება. კვირაში ერთხელ მის სამოყვარულო გუნდ „ბრივს" საფრანგეთის მეოთხე დივიზიონში მატჩი აქვს და დებაც შეძლებისდაგვარად თამაშობს.

ხან გამოსდის, ხან არა. გუშინწინ კი გამოუვიდა და მერე როგორ — „ოსერს" გოლი გაუტანა და თასის მფლობელი გათამაშებიდან გააგდო.

წინა საუკუნის 70-ანი წლების ცნობილი ფილმია, „პატარა დიდი ადამიანი", დასტინ ჰოფმანი თამაშობს. ეს ფილმი იმიტომ გავიხსენეთ, რომ „ბრივის" მწვრთნელის, ფრედერიკ ჰანცის საყვარელი ფილმი ყოფილა და მისი ციტატებით ლაპარაკობს.

„ახლა სიკვდილიც შეიძლება — თქვა იმ ფილმში ჰოფმანის გმირმა და ჰანცმაც გაიმეორა — მაგრამ თუ გახსოვთ, ჰოფმანი იმ ფილმში არ კვდება — იმედი მაქვს, არც ჩვენ მოვკვდებით და თასზემომდევნო მატჩსაც მოვიგებთ. ახლა ამბობენ, რომ ჩვენს მიერ „ოსერის" დამარცხება ექსტრაორდინალური ამბავი იყო. მეტსაც ვიტყვი, ეს სრულიად გასაოცარი გამარჯვება იყო."

**ირაკლი ნინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბოლოო ცხრილს ბოლოს ვნახავთ

## მოჯის სკუდეტი გოჯითაც არ ეთმობა

„იუვენტუსის" სატრანსფერო საქმეთა დიდოსტატი ლუჩანო მოჯი ამბობს, რომ გუნდში რევოლუციური გარდაქმნების არც საჭიროებაა და არც სკუდეტო გაქცეულა იმ სიშორეზე, რომ ველარ დაეწიონ.

„მახსოვს, „პარმასა" და „ლეჩესთან" დამარცხებების შემდეგ პრესაში ერთი ამბავი იყო ატეხილი, ამბობდნენ, რომ გუნდი მთლიანად გასაწმენდი გვყავს, მაგრამ ორივეჯერ სეზონი იმით დამთავრდა, რომ ჩემპიონები გავხდით. ასე რომ, შეიძლება ითქვას, შიგა და შიგ ლაზათიანად წაგება „იუვესთვის" კარგის მომასწავებელია" — განაცხადა ტურინული კლუბის გენერალურმა დირექტორმა.

ვფიქრობთ, დიდი განმარტება არ სჭირდება იმას, თუ რატომ ატყდა „ბებერი ქალბატონის" გარშემო ასეთი დავიდარაბა — კვირას „იუვენტუსმა" „რომასთან" სტუმრად 0:4 წააგო და ლიდერს, „მილანს", არც მეტი, არც ნაკლები, რვა ქულით ჩამორჩა.



„იუვენტუსის" სატრანსფერო საქმეთა კვაჭები: ანტონიო ჯირაუდო და ლუჩანო მოჯი

„ასე ვიტყვი, „რომას" მხოლოდ სამი ქულით ჩამოვრჩებით. რაც შეეხება იმდღევანდელ მარცხს, დიახ, მეტოქე გამარჯვებას აშკარად იმსახურებდა, მაგრამ საქმე ისიცაა, რომ ჩემპიონატის ცხრილი მაისამდე საბოლოო არ არის" — თქვა მოჯიმ, რომლის გუნდს ბოლო ორმოც წელიწადში დაცვაში უარესი შედეგი აქვს.

„ცხადია, 20 თამაშში 25 გოლის გაშვება სასიამოვნო საქმე არ არის, მაგრამ ამას ახსნა აქვს. კერძოდ, რამდენიმე ფეხბურთელი დაშავებულია, დანარჩენები ფორმაში ვერ არიან" — დასძინა დირექტორმა.

დღეს, „იუვენტუსის" დაცვის შემყურე იტალიური გაზეთები ცდილობენ შეიტყონ ვის შეძენას აპირებს მოჯი მომავალ ზაფხულს. ჯერჯერობით, როგორც ჩანს, მისი ანკესი „პარმადან" მატეო ფერარისა და დანიელე ბონერას, ხოლო „აიაქსიდან" ჰატემ ტრაბელსის წამოსაყვანად არის გადაგდებული.

„რამდენიმე მოთამაშეს ვაკვირდებით, თუმცა ბაზარზე თავის გაგიჟებასაც არ ვაპირებთ. „იუვე" სერიოზული კლუბია და ზოგიერთებივით არ დაემართება" — უკბინა მოჯიმ „ზოგიერთებს", ხოლო შემდეგ „მილანის" მწვრთნელის, კარლო ანჩელოტის მიერ ნაკრებში ფეხბურთელთა ამხანაგურ შეხვედრებზე გაწვევის წინააღმდეგ ლაშქრობას გაუკეთა კომენტარი — ნაკრები ყველასია და მისი გაძლიერებისთვის ყველამ უნდა ვიმუშავოთ.

**პაპუნა ქედია**

# ზაფხული მოვა, სოლარი წავა

## ლაციო რეალის არგენტინელზე ალაპარაკდა





ესპანურ გაზეთებში ეწერა, რომ მადრიდის „რეალის" მარცხენა ნახევარმცველი სანტიაგო სოლარი ზაფხულზე „ლაციოში" გადავა. მოგეხსენებათ, არგენტინელ დრიბლიორს ბოლოხანს მართლაც უკავშირებდნენ იტალიას, ოღონდ გუნდს კონკრეტულად ვერავინ ასახელებდა, ასე რომ, რაც ითქვა „ლაციოსთან" დაკავშირებით, სინამდვილეს ჰგავს.

სოლარისა და იტალიაზე ორი წლის წინაც ლაპარაკობდნენ, ოღონდ მაშინ იგი „ინტერს" სურდა, თუმც ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა იმიტომ, რომ სოლარიმ მილანელი „შავ-ლურჯებისთვის" მიუღებელი ხელფასი მოითხოვა. რაც შეეხება „ლაციოს", რომაელებმა არგენტინელი გასულ ზაფხულს ინდომეს, მაგრამ მაშინ „რეალმა" მისი თავისთან დატოვება ამჯობინა.

„ლაციოსა" და სოლარის ურთიერთობაზე ბევრს წერდა იტალიური პრესაც. საქმე ის გახლავთ, რომ გასულ შემოდგომაზე სეზარი რომ დაშავდა, რობერტო მანჩინიმ მის ადგილზე ფაქტობრივად, სრულფასოვანი შემცვლელი ვერ ნახა.

**პაპუნა ქედია**

Copa Toyota Libertadores '2004

## ლიბერტადორესის თასი 2004. ჯგუფური ეტაპი

**II ჯგუფი. I ტური**

**ველეს სარსფილდი (არგენტინა) 1:1 მარაკაიბო (ვენესუელა)**

0:1 კოლიარდი (61), 1:1 კარლოს გარსია (90)

გაძევება: პ. ფერნანდესი (90, „მარაკაიბო")

**III ჯგუფი. II ტური**

**უნივერსიდად დე კონსეპსიონი (ჩილე) 1:3 კრუზეირო (ბრაზილია)**

0:1 ალექსი (17), 0:2 ედუ დრაჩენა (19), 1:2 სოლისი (73პ), 1:3 კრისტიან გომესი (80ს.კ.)

**IV ჯგუფი. II ტური**

**კობრელოა (ჩილე) 0:2 დეპორტივა უნივერსიტარია (ეკვადორი)**

0:1 აგინაგა (52), 0:2 მურილიო (90)

გაძევება: ბ. გონსალესი (57, „კობრელოა"), პ. ურუტია (71, „უნივერსიტარია")

**IX ჯგუფი. I ტური**

**სპორტინგ კრისტალი (პერუ) 4:1 კურიტიბა (ბრაზილია)**

0:1 ლეარსიო (18), 1:1 სოტო (28), 2:1 რ. ბონეტი (33), 3:1 სერჟიო ჟუნიორი (81), 4:1 ლ. ბონეტი (90)

გაძევება: ბრუმი (73, „კურიტიბა")




## სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები)

დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ

თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით

ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...

სპორტული ატრიბუტიკა:

დროშები, ვიმპელები...

საცალო და საბითუმო ფასებში



## სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91. 53-76-82 899 56-18-49




# ალვარომ, ახლა ვარ, რაც ვარო

## ძაკერონიმ რეკობას ფეხბურთი დაუბრუნა

**ალვარო რეკობა** ამბობს, რომ „ინტერში“ მწვრთნელი, ექტორ რაულ კუპერის ალბერტო ძაკერონით შეცვლამდე თავისი „შავ-ლურჯი“ კარიერა დასრულებული ეგონა.ურუგვაელი წლების განმავლობაში მილანური გუნდის მარგალიტად ითვლებოდა, მაგრამ რაც ძაკერონი მივიდა, მართლაც განსაკუთრებული ძალით და ეშხით ათამაშდა.

„მასიმო მორატისთან მივედი და ვუთხარი, რომ ჩემს წასვლას წინ არაფერი ედგა — უთხრა რეკობამ გაზეთ „ლა რეპუბლიკას“ — მაგრამ მწვრთნელი რომ შეიცვალა, აზრის შეცვლაც მომიხდა. ძაკერონიმ ცეცხლი არ შემინთო და ჩემებურად, უნერვიულოდ თამაშის საშუალება მომცა. მთელი გუნდიც ფრიად სასიამოვნო სტილზეა გადასული“.

მართლაც, ბოლო რამდენიმე ტურია, რეკობა გამორჩეულია და ძალიან განსხვავებული იმისგან, რასაც კუპერის ხელში ვხედავდით.

„კუპერისეული 4-4-2-ის დროს ბურთის მისაღებად სასურველი პოზიციისკენ თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი და შედეგად, წინა სეზონში საძაგლად ვითამაშე. ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი „მილანის“ წინააღმდეგ ჩემი უმდაბლესი წერტილი იყო. იმ დღეს კარგად არაფერი გამომსვლია. მეტიც, როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად ისე ცუდად გახლდით, რომ წესით საერთოდ არ უნდა მეთამაშა“ — გაიხსენა ურუგვაელმა, რომელიც იმ თამაშის შემდეგ ძალიან სერიოზულად აკრიტიკეს.

„ჩემს კონტრაქტზეც ითქვა ბევრი და რაღაც არანორმალური რიცხვებიც დასახელდა. უნდა გითხრათ, რომ ჩემზე მეტს ძალიან ბევრი ფეხბურთელი იღებს, მით უფრო, რომ მას მერე ხელფასის შეკვეცაზეც კი დავთანხმდი. ახლა კი „ინტერში“ სიტუაცია იცვლება და მინდა გუნდისთვის ძალიან სასარგებლო გავხდე“ — დასძინა მან.

**პაპუნა ძედია**

# ემერსონის ფიქრები: ნეტავ ვისი ვექნები?

„**რომას**“ ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, ბრაზილიელი ნახევარმცველი ემერსონი ამბობს, რომ წარმოდგენა არ აქვს რომელი კლუბის მაისურით ითამაშებს მომავალ სეზონში. მისი კონტრაქტი რომაელებთან 2005 წლამდეა, ხოლო ამ კონტრაქტის გახანგრძლივება ჯერჯერობით, როგორც ჩანს, შეუძლებელია.

„ნამდვილად ვერაფერს მოგახსენებთ ჩემი მომავლის შესახებ, წარმოდგენა არ მაქვს, რა მოხდება — ამბობს ემერსონი — ასევე ვერაფერს ამბობს კლუბიც“.

საქმე ის არის, რომ „რომას“ ფინანსური პრობლემები აქვს და არ არის გამორიცხული, ფულის საშოვნელად ზაფხულზე ემერსონის გაყიდვა დასჭირდეს. თავის მხრივ, სხვაგან გადასვლის წინააღმდეგი არც მოთამაშეა, ოღონდ მისთვის მნიშვნელოვანი იქნება პირობები.

„მგონი, იმის შემდეგ, რაც ბოლო სამი წლის განმავლობაში მოხდა, იმის მტკიცება, რომ „რომას“ ერთგული ადამიანი ვარ, არ უნდა მჭირდებოდეს. კონტრაქტზე ლაპარაკი და მიმდინარე ამბების კომენტირება ახლა არ მინდა, რადგან დღეს მხოლოდ თამაშზე და სკუდეტოს მოგებაზე ვფიქრობ“ — განაცხადა ნახევარმცველმა.

ერთი ფაქტია, ბრაზილიელს უმუშევრად არავინ დატოვებს. მისი შეძენის სურვილი რამდენიმე დიდ კლუბს აქვს, ხოლო გასულ ზაფხულზე ლონდონის „ჩელსიმაც“ გამოხატა ინტერესი. რომან აბრამოვიჩის ხალხი მის სანაცვლოდ 27 მილიონ გირვანქას იხდიდა, ხსენებულ დიდ კლუბებში კი „რეალს“, „მილანს“ და „ინტერს“ გულისხმობენ.

**პაპუნა ძედია**



# დაპატიმრება!

## მამა-შვილი კრანიოტები მეხუთე იზოლატორში



**რომში** „ლაციოს“ ყოფილი პრეზიდენტი და მეპატრონე სერჯო კრანიოტი დააპატიმრეს. ამის შესახებ ინფორმაცია იტალიის დედაქალაქის პროკურატურამ გაავრცელა.

კრანიოტის საქმეზე გამომძიებლები რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდნენ. საქმე მას მერე აღიძრა, რაც გაკოტრდა „ლაციოს“ ყოფილი მთავარმეწილე, საკვები პროდუქტების მსხვილი კომპანია „ჩირიო“.

„ჩირიოს“ გაკოტრების ამბავი 2002 წლის ნოემბერში გამოცხადდა, ხოლო ამ ამბიდან სამ თვეში კრანიოტი კლუბის პრეზიდენტობიდან გადადგა.

კრანიოტი და მისი ვაჟი ანდრეა, რომელიც ასევე დააკავეს, „ჩირიოს“ გაკოტრებაში გახლავან ეჭვმიტანილი.

**პაპუნა ძედია**

# რემე, შენ გაათბე ანტონიო

## რეიესს რემედიოსმა ლონდონში მზე და სიყვარული ჩაუტანა

**ანდალუზიური** სევილია და ალბიონური ლონდონი კლიმატის მხრივ, მოგეხსენებათ, როგორც ცა და მიწა ისე განსხვავდება ერთმანეთისგან. ამიტომაც ცეცხლოვანი სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ ამა თუ იმ მიზნით გადაბარგებულთ იქაურ სუსხთან შეგუება საკმაოდ ეძნელებათ. მათ რიცხვშია „სევილიას“ ყოფილი ვარსკვლავი და ამჟამად არსენ ვენგერის „არსენალის“ ახალბედა იმედი ხოსე ანტონიო რეიესი, ვინც ლონდონურ ცივ ჰავას ვერ ეგუება და ანდალუზიის მცხუნვარე მზეს მისტირის. „ფეხბურთის მხრივ, ყველაფერი წესრიგშია. ერთადერთი, რაც ჩემზე ახლა, ასე ვთქვათ, უხერხულად მოქმედებს, ინგლისური ამინდია. ჩემს სამშობლოში სულ სხვანაირი კლიმატი იცის“ — გაუმხილა ხოსემ ლონდონელ ჟურნალისტებს.

ესპანელს სამშობლოსა და მის სითბოს ვინ შეუცვლის, მაგრამ გუშინ ლონდონში ხოსესთვის დიდად გასახარი რამ მოვლენა მოხდა — რეიესის 24 წლის მშვენიერი საცოლე რემედიოს რივასი, ანუ როგორც პირინეელი ჟურნალისტები ეძახიან — რემე, მიჯნურთან განშორებამ შეაწუხა და მანაც საჩქაროდ ნისლიან ალბიონს მიაშურა. ამრიგად, რეიესი ძველი კეთილი ინგლისის დედაგულში პატარა, ბედნიერ ანდალუზიას „მოაწყობს“.

გალათასარაი 30,0
ბრიუგე 30,0
პერუჯა 30,0
ბენფიკა 30,0
ვილიარეალი 30,0
ბეშიქთაში 30,0
სოშო 40,0
პანათინაიკოსი 40,0
რუსენბორგი 50,0
სპარტაკი 60,0
გენჩლერბირლ. 60,0
ბრიონდბიუ 60,0
გაზიანთეფი 100,0
გროცლინი 100,0
ტეპლიცე 100,0
დნიპრო 100,0
ლევსკი 150,0
დებრეცენი 250,0
ვოლერენგა 250,0

**9031**
**NHL (05.04)**
კოლორადო 4,5
დეტროიტი 5,0
ფილადელფია 5,5
ვანკუვერი 6,0
ნიუ ჯერსი 6,5
ოტავა 7,0
ტორონტო 7,5
სტ.ლუისი 10,0
დალასი 12,0
ტამპა ბეი 20,0
ბოსტონი 20,0
ლოს ანჯელესი 20,0
სან ხოსე 25,0
რეინჯერსი 25,0
ატლანტა 30,0
კალგარი 30,0
ანაჰაიმი 35,0
მინესოტა 35,0
აილენდერსი 40,0
მონრეალი 50,0
ედმონტონი 60,0
ფინიქსი 60,0
კაროლინა 75,0
ჩიკაგო 75,0
ნეშვილი 75,0
ბუფალო 100,0
ფლორიდა 100,0
კოლამბუსი 125,0
პიტსბურგი 125,0
ვაშინგტონი 125,0

**9032**
**NBA (15.04)**
ლეიკერსი 1,65
საკრამენტო 4,5
სან ანტონიო 5,0
დალასი 8,0
ინდიანა 10,0
დეტროიტი 12,0
მინესოტა 12,0
ნიუ ჯერსი 15,0
ნიუ ორლეანი 25,0
ფილადელფია 40,0
ჰიუსტონი 50,0
ბოსტონი 60,0
დენვერი 60,0
ნიუ იორკი 60,0
პორტლენდი 60,0
ტორონტო 60,0
სიეტლი 75,0
იუტა 75,0
მილუოკი 75,0
გოლდენ სტ. 100,0
მემფისი 100,0
ფინიქსი 100,0
კლიპერსი 150,0
ორლანდო 150,0
მაიამი 200,0
ატლანტა 250,0
ვაშინგტონი 250,0
ჩიკაგო 250,0
კლივლენდი 300,0

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

რაგბის მხარდამჭერთა ლიგამ სარაგბო კლუბებისა და ჟურნალისტების გამოკითხვის შემდეგ წლის ლაურეატები დაასახელა. ლიგა მესამედ ატარებს მორაგბეების, მსაჯების, მწვრთნელების, მენეჯერებისა და ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშეთა ორი სიმბოლური ნაკრების დასახელება-დაჯილდოვებას. 2003 წლის ნომინანტებში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია მარტის პირველ კვირას გაიმართება

# ლიგამ საჩინონი გამოარჩინა


გრეგუარ იაშვილი


ბობა კვინიხიძე



თემურ ბენდიაშვილი



ლევან მგელაძე

## 2003 წლის რჩეულები

### საუკეთესო ქართველი მორაგბე

1 გრეგუარ იაშვილი (ბორდო, საფრანგეთი)

2 მალხაზ ურჯუკაშვილი (მაზამე, საფრანგეთი)

3 ილია ზედგინიძე (როვიგო, იტალია)

### ეროვნული პირველობის საუკეთესო მორაგბე

1 ბობა კვინიხიძე (ლოკომოტივი)

2 თემურ სოხაძე (სტუ-ყოჩები)

3 ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი)

### საუკეთესო მწვრთნელი

1 თემურ ბენდიაშვილი (ლოკომოტივი)

2 მალხაზ ჭეიშვილი (სტუ-ყოჩები)

3 პაატა ნარიმანაშვილი (იმედიL-აკადემია)

### საუკეთესო მენეჯერი

1 პაატუნა ჯაფარიძე (იმედიL-აკადემია)

2 ალეკო სვანიძე (ხულიგანა)

3 გუგა გეგენავა (სტუ-ყოჩები)

### საუკეთესო მსაჯი

1 ლევან მგელაძე

2 ნოდარ რობიტაშვილი

3 მიხეილ ჩაჩუა

### პირველი სიმბოლური ნაკრები

15 ვანო სოხაძე (სტუ-ყოჩები)

14 ლექსო გუგავა (ლოკომოტივი)

13 თედო ზიბზიბაძე (აია)

12 კახა ალანია (ლოკომოტივი)

11 გოჩა ხონელიძე (დათვები)

10 ბობა კვინიხიძე (ლოკომოტივი)

9 ბიძინა სამხარაძე (ლოკომოტივი)

8 რატი ურუშაძე (სტუ-ყოჩები)

7 ჯაბა მალაღურაძე (სტუ-ყოჩები)

6 ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი)

5 მამუკა გორგოძე (ლელო)

4 ლევან დათუნაშვილი (ლოკომოტივი)

3 ნიკო ჭავჭავაძე (სტუ-ყოჩები)

2 დათო ბალანჩივაძე (იმედიL-აკადემია)

1 მინდია ღლონტი (იმედიL-აკადემია)

### მეორე სიმბოლური ნაკრები

15 ირაკლი მაჩხანელი (იმედიL-აკადემია)

14 გიორგი შკინინი (ხულიგანა)

13 დავით კაჭარავა (სტუ-ყოჩები)

12 ლაშა ფირფილაშვილი (ლელო)

11 ნონო ანდღულაძე (ლოკომოტივი)

10 თემურ სოხაძე (სტუ-ყოჩები)

9 მერაბ კვირიკაშვილი (ლელო)

8 შალვა პაპაშვილი (იმედიL-აკადემია)

7 გიორგი ტრაპაიძე (ლოკომოტივი)

6 რევაზ ბელქანია (ლელო)

5 დავით ყლენტი (ლოკომოტივი)

4 კახა უჩავა (იმედიL-აკადემია)

3 ბაჩო ყალიჩავა (სტუ-ყოჩები)

2 ვალერი ცნობილაძე (დათვები)

1 დავით გასვიანი (ლოკომოტივი)

# ვარდს ეკალი მოტყდა

## უილკინსონი ექვს ერს გამოტოვებს

**მსოფლიოს** ჩემპიონ ინგლისელებს ექვსი ერი კარს მოადგათ და მაინც და მაინც ახლა კარგავენ ვარსკვლავებს. ჯერ იყო და, „ვარდების“ კაპიტანმა მარტინ ჯონსონმა უსურვა გამარჯვებები ნაკრებს და აბა წავედიო, თქვა. ახლა კი ჯონი უილკინსონმა მხრის ოპერაცია გაიკეთა და ექვს-რვა კვირას მოედანზე ვერ შევა.

ინგლისი კი ექვს ერს 15 თებერვალს რომში იტალიასთან გასეირნებით იწყებს და 27 მარტს პარიზში ფრანგებთან ომით ამთავრებს. უილკოს იტალიაში ნორთჰემპტონელი გამთამაშებელი პოლ გრეისონი შეცვლის, კაპიტანი კი ბებერი მეომარი ლოურენს დალალიო იქნება, რომელიც მარტინ ჯონსონამდე კაპიტნობდა „ვარდებს“.

ვინაიდან იტალია სუსტი მეტოქეა, მსოფლიოს ჩემპიონთა მწვრთნელი კლაივ ვუდვორდი თამამად ატარებს ექსპერიმენტებს, მაგალითად მან მოუხელთებელი ფრთა ჯეისონ რობინსონი უკანა ხაზის ცენტრში შეწია და ტრავმირებული შუამარბის მაიკლ ტინდალის ნაცვლად 12 ნომრად დააყენა.

„ჯეისონს მანამდეც უთამაშია ცენტრში, შოტლანდიას აქედან გაუტანა ორი ლელო — ამბობს ვუდვორდი — მე კვლავაც ვთვლი რომ მისი ადგილი 15 ნომრის პოზიციაზეა, თუმც გუნდს რობინსონი ახლა ცენტრში სჭირდება.“

ვუდვორდმა საიტალიოდ არ გამოიძახა ვეტერანი ფლანკერი (№7) ნილ ბეკი, სამაგიეროდ სათადარიგოთა სკამზე [illegible] კორდსმენ ჯეისონ ლეონარდთან და აგრეთვე ვეტერან მეტ დოუსონთან ერთად ახალგაზრდები და ახალბედები დასვა.

ცვლილებების მიუხედავად ვუდვორდი, როგორც ყოველთვის, ახლაც ფხიზლადაა. „იტალია ყველაზე ძალისმიერი გუნდია ამ ტურნირზე და თუ ყველაფერი სწორედ არ გავაკეთეთ, შესაძლოა, წავაგოთ კიდეც.“

ვუდვორდმა უკვე დაასახელა საიტალიო 22 კაცი, თუმც ერთის შეცვლა მაინც მოუწევს, სათადარიგო მეორეხაზელმა სტივ ბორსვიკმა ინგლისის ჩემპიონატში უგვანო ქცევის გამო დისკვალიფიკაცია მიიღო და ნაკრებიდანაც ამოიწერა.

**კოტე ყორშია**


ჯონი უილკინსონმა მხრის ოპერაცია გაიკეთა

*ძირითადი „ვარდები“* — 15 იან ბოლშოუ, 14 ჯოშ ლიუსი, 13 ვილ გრინვუდი, 12 ჯეისონ რობინსონი, 11 ბენ კოენი, 10 პოლ გრეისონი, 9 ენდი გომარსალი; 8 ლოურენს დალალიო (კაპ), 7 რიჩარდ ჰილი, 6 ჯო უორსლი, 5 ბენ კეი, 4 დენი გრივკოვი, 3 ფილ ვიკერი, 2 სტივ ტომპსონი, 1 ტრევორ ვუდმენი

*სათადარიგოები* — 16 მარკ რეგანი, 17 ჯეისონ ლეონარდი, 18 ???, 19 კრის ჯონსი, 20 მეტ დოუსონი, 21 ოლი ბარკლი, 22 ჰენრი პოლი

# იაშვილი ისევ დაჯდა

## გალტიეს მემკვიდრეობა სხვას შეხვდა

**მსოფლიოს თასის** დამთავრების შემდეგ, როცა საფრანგეთის ნაკრების შერკინების გამთამაშებელმა და კაპიტანმა ფაბიენ გალტიემ ქვეყნიერებას თავისი სანაკრებო კარიერის დასრულება ამცნო, ვთქვით, „მამლებში“ გალტიეს ეპოქა დასრულდა და ქართული ფესვების დიმიტრი იაშვილისა დაიწყო-თქო. ამ დროს კი როცა ხალხი ბჭობდა, „მამლების“ მწყემსი ბერნარ ლაპორტი იცინოდა.

ექვსი ერის პირველი მატჩის 22-კაციან განაცხადში იაშვილი კი მოხვდა, მაგრამ პარიზში „სტად დე ფრანსზე“ ირლანდიის წინაალმდეგ თამაშს არა ის, არამედ „ტულუზის“ გამთამაშებელი ჟან-ბაპტის ელისალდე დაიწყებს, ასე ბრძანა მუსიე ლაპორტმა.

26 წლის ელისალდეს ოთხჯერ აქვს ნაკრებში ნათამაშები, ოთხჯერვე შეცვლიდან. „იაშვილს ჩვენ მივეცით თავის გამოჩენის შანსი და მან კარგადაც გამოიყენა, მაგრამ ელისალდეს წლეულს კარგი თამაშების სერია ჰქონდა „ტულუზის“ რიგებში ევროპის თასზე“ — ამბობს ლაპორტი.

გალტიეს გარდა საფრანგეთის ნაკრებს აგრეთვე დააკლდნენ რაფაელ იბანიესი (თამაშს თავი დაანება), ჟერომ თიონი და ოლივიე ბრუზი (ორივეს ტრავმა აქვს).

არის ნამატიც — ძირითად 15-ში დაბრუნდა ჯერ დოპინგის ხმარების გამო დისკვალიფიცირებული, შემდეგ კი მსოფლიოს თასზე ტრავმის გადამკიდე ვერწასული ბურჯი პიტერ დე ვილერი.



ბერნარ ლაპორტმა დიმიტრი იაშვილი სათადარიგოთა სკამზე დააბრუნა

### საფრანგეთი

*ძირითადი „მამლები“* — 15 ნიკოლა ბრუსკი, 14 ვინსენტ კლერკი, 13 იანიკ ჟოზირონი, 12 დამიენ ტრაი, 11 კრისტოფ დომინისი, 10 ფრედერიკ მიშლაკი, 9 ჟან-ბაპტის ელისალდე; 8 იმანოლ არინორდოკი, 7 ოლივიე მანი, 6 სერჟ ბესენი, 5 პასკალ პაპე, 4 ფაბიენ პელუ (კაპ), 3 პიტერ დე ვილერსი, 2 უილიამ სერვატი, 1 სილვიან მარკონე

*სათადარიგოები* — 16 იანიკ ბრუ, 17 ჟან-ჟაკ კრენკა, 18 დევიდ ორადუ, 19 ტომას ლივერემო, 20 დიმიტრი იაშვილი, 21 ბრაიან ლიბენბერგი, 22 პეპიტო ელორგა

### ირლანდია

*ძირითადი „სამყურები“* — 15 გირვან დემფსი, 14 შეინ ჰორგანი, 13 გორდონ დარსი, 12 კევინ მაგსი, 11 ტაირონ ჰოუი, 10 რონან ოგარა, 9 პიტერ სტრინგერი; 8 ენტონი ფოლი, 7 კიტ გლისონი, 6 საიმონ ისტერბი, 5 პოლ ოკონელი (კაპ), 4 მალკოლმ ოკელი, 3 ჯონ ჰეიესი, 2 შეინ ბირნი, 1 რეჯი კორიგანი

*სათადარიგოები* — 16 ფრენკ შიანი, 17 საიმონ ბესტი, 18 დონჩა ოკალაჰანი, 19 ვიქტორ კოსტელო, 20 გაი ისტერბი, 21 დევიდ ჰემფრიზი, 22 ენტონი ჰორგანი



*მანუჩარ მარკოიშვილი არასდროს ყოფილა ბაქია, თუმცა „მეს" დაძახების საბაბი ხშირად ჰქონდა. ახლაც ბუნდესლიგაში ვეისენფელსის (ეს სადღააო, იკითხავთ) გუნდს ცხრილის ფსკერიდან ზემოთ მოათრევს, მაგრამ აბა სცადეთ და საკუთარ თავზე რამე დააცდენინეთ. მუდამ გაწონასწორებული და თვითკრიტიკულად განწყობილი ახლაც თავს იმდაბლებს, გამარჯვებები მთელი გუნდის მონაპოვარია, მე მხოლოდ ჩემს საქმეს ვაკეთებდიო. კარგად კი აკეთებს, მისი მისვლის შემდეგ „მიტელდოიჩერს" დამარცხებები დაავიწყდა. ბუნდესლიგის მორიგ ტურში „მიტელდოიჩერმა" „ვუცბურგი" გაანადგურა და მარკოიშვილი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს...*

# კარგი ბიჭის კარგი სიტყვა
## იქ, სადაც მარკოიშვილს და შევარდნაძეს იცნობენ

— შენი მისვლის შემდეგ „მიტელდოიჩერს" არ წაუგია. გასავარდნთა ზონაში იყავით და ახლა პლეი ოფში გამსვლელთა შორის ხართ. კლუბებში ალბათ ძალიან გემადლიერებიან...

— არა, უბრალოდ, მთელი გუნდი კარგად თამაშობს და გამარჯვებებიც ლოგიკურია. ყველა ხომ მაქსიმუმს მოელის თავისი გუნდისგან და ეს მოგებებიც ბუნებრივად აღიქმება, თითქოს ასე უნდა ყოფილიყო.

— ის ხომ მაინც ნაღდია, რომ „მიტელდოიჩერის" წარმატებებში შენი ხელიც ურევია. ხუთეულში მყარად დამკვიდრდი, სტაბილურად თამაშობ, ბოლო მატჩში კი საუკეთესოც იყავი...

— რა თქმა უნდა, უფრო სარგებლიანი ვარ, ვიდრე „ბენეტონში", მაგრამ ვფიქრობ, ისევ ბევრი ნაკლი მაქვს. ჯერ კიდევ უნდა ვიმუშავო საკუთარ თავზე.

— გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ხარ...

— დიდხანს მიწევს მოედანზე ყოფნა. როცა 25-30 წუთს თამაშობ, რამე ხეირიანი ხომ უნდა გააკეთო და მეც გამომდის. როცა 5-8 წუთი ხარ მოედანზე, ვერაფერს მოასწრებ.

— კონკრეტულად რაში უნდა მოუმატო?

— ყველა სათამაშო კომპონენტი დახვეწი მაქვს. ახლა გულის დამშვიდება, კარგი მოთამაშე ვარო, დამღუპველი იქნება ჩემთვის. უფრო კონკრეტულად, სროლის გამოსწორება მმართებს, მიზანი უნდა გავისწორო.

— ბოლო მატჩში 3 დაფარება მოაგროვე, რაც შენი ტანის მოთამაშისთვის საკმაოდ კარგი შედეგია...

— „ვუცბურგთან" გამიმართლა. ისე აიწყო, რომ დაფარებისთვის ხელსაყრელი სიტუაცია შემექმნა და სამჯერვე გამოვიყენე. დიდი არაფერი, ჩათვალეთ, რომ გამიმართლა. აბა, რომელი დიკემბე მუტომბო მე ვარ?

— მწვრთნელი რას გეუბნება? ჰენრიხ დეტმანი დანიშნეს საბოლოოდ ფინეთის ნაკრების მწვრთნელად?

— დეტმანი ბევრს არ მელაპარაკება. საქმიანი საუბრები გვაქვს, ასე გააგრძელე, ყოჩაღი ბიჭი ხარო. ფინეთის მწვრთნელობა მართლაც შესთავაზეს დეტმანს და ახლაც სთავაზობენ, მაგრამ ჯერ თავს იკავებს.

— თავისუფალი დრო თუ გაქვს და როგორ ატარებ?

— იშვიათად, რომ საქმე არ მქონდეს, თითქმის მთელი დღე დარბაზში ვარ. თავისუფალ დროს სახლში ტელევიზორს ვუყურებ ან ვკითხულობ.

— ეტყობა, ციცქნა ვეისენფელსში არაა დიდი გართობა...

— თუ გინდა, ყველგან იპოვი გასართობს. ისე კი, ვეისენფელსი მართლაც ძალიან პატარა, მიყრუებული ქალაქია. სამაგიეროდ, აქ ყველამ იცის შევარდნაძე. ვეისენფელსი ხომ აღმოსავლეთ გერმანიაშია, რომელიც დასავლეთს ჩვენმა ყოფილმა პრეზიდენტმა შეუერთა. ვინც არ იცნობდა, ახლა გაიცნო, ვარდების რევოლუციის დღეებში. ხალხს არ სჯერა, რომ რევოლუცია უსისხლოდ მოხდა, ნუთუ არავინ დაშავებულაო, მეკითხებიან გაოცებულები.

— ვისთან მეგობრობ?

— მისან ნიკაგბატსესთან და ამერიკელ მაიკლ ლესლისთან. ისე, ყველასთან კარგად ვარ, მაგრამ ესენი თითქმის ჩემი ტოლები არიან და ვეახლობლები.

— მალე ანატოლი ბოისაც ჩამოვა. რას ამბობენ მასზე?

— არაფერს. ელიან და თუ მოეწონებათ, დაიტოვებენ. ტოლიკაზე საკმარის ინფორმაციას ფლობენ, მაგრამ მეც მკითხეს, როგორი ბიჭიაო. ვუპასუხე, მშვენიერი, პატიოსანი და მშრომელი ბიჭია-მეთქი.

**ირაკლი პერტაია**

# რაიონში ეპიდემიაა
## მწვრთნელებს წვრთიან



რენდი აიერსი

აღმოსავლეთ კონფერენციას მოდებულმა ეპიდემიამ კიდევ ერთი მთავარი მწვრთნელი იმსხვერპლა. „ფილადელფია სიქსერზი" აღმოსავლეთის 15 გუნდში მეთოთხმეტეა, რომელმაც წინა სეზონის დასრულების შემდეგ თავკაცი გამოიცვალა (ერთი წელი მხოლოდ „ატლანტას" ტერი სტოტსი ძლებს), თანაც ორჯერ გამოიცვალა. აიერსმა სეზონის დაწყებამდე „დეტროიტში" წასული ლარი ბრაუნი შეცვალა.

„ფილადელფიას" გენ-მენეჯერს ბილი კინგს საკმაო საბაბი ჰქონდა, აიერსი დაეთხოვა — „სიქსერზი" 21 მოგებითა და 31 წაგებით ისედაც სუსტ აღმოსავლეთში მხოლოდ მეცხრეა და ბოლო შვიდ სეზონში პირველად ემუქრება პლეი ოფში ვერმოხვედრა.

აიერსს დროებით შეცვლის გამოცდილი სპეციალისტი კრის ფორდი, რომელსაც თავის დროზე ლარი ბერდისთვისაც დაურიგებია ჭკუა. რა გამოუვა ძველ ბიჭ აივერსონთან, ეს რამდენიმე დღეში გამოჩნდება.

აივერსონი მაინც და მაინც აღფრთოვანებული არ დარჩა ამ ცვლილებით. ხვდება, რომ შესაძლოა ყველაფერი ამით არ დამთავრდეს და არც ფარავს, რომ ეს ამბავი აღიზიანებს — „თუ მე გუნდის ლიდერი ვარ და კიდევ რამდენიმე წელი უნდა ვიყო, მაშინ ვინმემ კეთილი ინებოს და მეც მაცნობოს რა ცვლილებები კეთდება და იგეგმება ამ გუნდში."

რა ხდება და კომენდანტის საათს არ შემოიღებენ, მაგრამ კონტროლი და მოთხოვნები კი გაიზრდება „სიქსერზში". ფორდიც წესრიგის აღსადგენად მიიწვიეს ამ გუნდში.

„იოლი ცხოვრება არავის ექნება — ამბობს ახალი მწვრთნელი — თავისი სამუშაო ყველამ უნდა შეასრულოს. საბედნიეროდ ჯერ კიდევ დაგვრჩა საქმის გამოსწორების შანსი."

**ბოტე ყორშია**

# მოიგებს, თუ მოითმენს?
## მამაცაშვილს უქმობა გა[illegible]

*ქართველებს საკმაოდ ძლიერ გუნდებში ჰყავს ლეგიონერები და მათ შორისაა „ოლიმპიაკოსში" მყოფი 17 წლის გიორგი მამაცაშვილიც. მაგრამ სხვები თუ თავიანთი გუნდების სრულფასოვანი წევრები არიან, მამაცაშვილი თან ჩაითვლება ოლიმპიაკოსელად და თან არა*



**გიორგი** ახლა თბილისშია და საბერძნეთში გამგზავრებას ამ დღეებში აპირებს. „ოლიპიაკოსი" კი, რომელთანაც მამაცაშვილს 3+3-წლიანი კონტრაქტი აკავშირებს, დიდ გაწამაწიაშია, აქეთ ელადის პირველობაზე იბრძვის, იქით ევროლიგის მეორე ჯგუფური ტურნირის საგზურს ეპოტინება. და სადაა ამ დროს მამაცაშვილი?! „მამაცას" ჯეროვნად ქართულ ჩემპიონატში არ უთამაშია და ექსტრაკლასის ლიგაში მით უმეტეს, არავინ გაიყვანს მოედანზე, ამას არავინ ელის, მაგრამ „ოლიმპიაკოსს" ხომ ახალგაზრდული გუნდიც ჰყავს, თუმცა ქართველი ახალგაზრდა არც იქ გამოჩენილა. თავად კალათბურთელის თქმით, ის ძირითად გუნდში ვარჯიშობს, სხვა, შედარებით სუსტ კლუბში კი არაფრის დიდებით არ ანათხოვრებენ.

ჩნდება საკმაოდ ბუნებრივი კითხვა — რა უნდათ ბერძნებს მამაცაშვილისგან? ჯერ არაფერი, მაგრამ თუ ის „ოლიმპიაკოსის" ვარსკვლავებთან ყოველდღიური ვარჯიშებისგან რამეს შეითვისებს და მომავალში ფხას გამოიჩენს, ბერძნები ეტყვიან, აგერ, ბიჭიკო, კონტრაქტი და უნდა დაგვეხმაროო. თუ მამაცაშვილისგან ისეთი კალათბურთელი არ გაიზარდა, „ოლიმპიაკოსის" მოთხოვნებს რომ დააკმაყოფილებს, საკონტრაქტო წლებში მასზე დახარჯული ბინის ქირა და ლუკმა პურის ფული საბერძნეთის ღრმაჯიბიან კლუბს არ გააღარიბებს. ასე რომ, არის მამაცაშვილი გუნდის წევრი, მაგრამ მისი ოლიმპიაკოსელობა ჯერჯერობით მხოლოდ ვარჯიშში გამოიხატება.

საინტერესოა ისიც, თუ რატომ არ ანათხოვრებენ მამაცაშვილს ბერძნები. ასეთ შემთხვევაში ხომ ისინი არაფერს აგებენ. ეს აინტერესებს თავად კალათბურთელსაც და კლუბში რომ მივა, პირველ რიგში ამ საკითხის გარკვევას აპირებს.

არის ერთი მიზეზიც, თუ რატომ არ თამაშობს მამაცაშვილი. მოგეხსენებათ, ნებისმიერი ქვეყნის ჩემპიონატში სათამაშოდ კალათბურთელს გათავისუფლების ფურცელი სჭირდება იმ ქვეყნის ფედერაციიდან, სადაც მანამდე უთამაშია. ეს დოკუმენტი ფული ღირს და განსაკუთრებით ძვირია მამაცაშვილისთვის, რაკი ის საზღვარგარეთ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გვერდის ავლით, როგორც იტყვიან, არალეგალურადაა წასული. გამოუცდელ და პირტველა მოთამაშეში კი არავის სურს ფულის გადახდა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით...

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

10 თებერვალი

**პორტლენდი 81:86 იუტა**
პორტლენდი: სტუდემაიერი (18), ანდერსონი (21), მაილზი (19), რენდოლფი (16), დევისი (4); პატერსონი (3), სტეფანია (16 წუთი, 5 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა), კუკი, ვუდსი
იუტა: აროიო (20), სტივენსონი (12), რუფინი, კირილენკო (20), ოსტერტაგი (8); ლოპესი (8), მური (6), ბელი (5), კოლინზი (5), უილიამსი (2), პავლოვიჩი

**მილუოკი 117:124 საკრამენტო**
მილუოკი: მეისონი (21), კუკოჩი (21)
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (31), ბიბი (24 ქულა, 11 პასი), მილერი (21)

**ნიუ ჯერსი 89:78 დეტროიტი**
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (27 ქულა, 10 მოხსნა), კიტლზი (17), კიდი (16)
დეტროიტი: ბილაფსი (23), ჰამილტონი (19)

**ჩიკაგო 84:103 ინდიანა**
ჩიკაგო: კარი (23)
ინდიანა: არტესტი (26), ონილი (16 ქულა, 10 მოხსნა)

**ფინიქსი 94:101 ტორონტო**
ფინიქსი: სტუდემაიერი (23), ჯონსონი (19)
ტორონტო: კარტერი (29), პიტერსონი (27), მარშალი (25 ქულა, 11 მოხსნა)

**სიეტლი 97:106 გოლდენ სტეიტი**
სიეტლი: ლუისი (20), მიურეი (19)
გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (22), კარდინალი (20), რობინსონი (18)

**მაიამი 83:98 ლეიკერსი**
მაიამი: ვეიდი (19)
ლეიკერსი: ონილი (25), ფიშერი (18), პეიტონი (17), ჯორჯი (17)

**მინესოტა 96:84 კლიპერსი**
მინესოტა: გარნეტი (31 ქულა. 16 მოხსნა), სპრიუელი (17)
კლიპერსი: მეჯიტი (34)

**დალასი 105:90 ნიუ იორკი**
დალასი: ნოვიცკი (27 ქულა, 12 მოხსნა), ფინლი (25 ქულა, 10 მოხსნა), ჰოვარდი (17)
ნიუ იორკი: მარბერი (24 ქულა, 11 პასი), ვან ჰორნი (20), ანდერსონი (19)

## საქართველოს ჩემპიონატი

12 თებერვალი. ვერის ბაღი

**დინამო 147:53 ქუთაისი**

31:14 34:10 41:14 41:15

დინამო: ელენტი (5), ხოშტარია (19), ბეჟანიშვილი (18), კეიდია (7), აბულაძე (19); ტუღუში (26), ლოსაბერიძე (23), გამყრელიძე (13), ჩუბინიძე (9), გოგობერიშვილი (8)
ქუთაისი: ცერცვაძე (8), ნიჟარაძე (7), კოლუაშვილი (5), პირტახია (13), ნ. შანიძე (14); მამისეიშვილი (2), ჭულუხაძე (2), ფურცხვანიძე (2), ნარსია
მსაჯები: ზურაბ ანდრიაძე, ზაზა ლოლიშვილი

შვიდი მწვერვალი

# ჯაია და კოსციუშკო

მთელი წყნარი ოკეანეთის უმაღლესი მწვერვალი ჯაია მხოლოდ მაშინ იპოვეს, როცა გეოგრაფიული აღმოჩენების ხანა კარგა ხნის დასრულებული ეგონათ. ისტორიისთვის ეს გუშინ მოხდა, 1913 წლის ერთ მშვენიერ დღეს. და ეს მაშინ, როცა 4884-მეტრიანი ჯაია კავკასიონისა და ალპების მთებში გადაჯაჭვულ მწვერვალთა რიგშიც კი საკმაოდ გამორჩეული სიმაღლის იქნებოდა. მიუხედავად ამისა, მის არსებობაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ.

არადა, ჯაია ჯერ კიდევ მაშინ, 40 000 წლის წინათაც არსებობდა, როცა აზიიდან ავსტრალიაში გადასვლა ლამის ფეხითაც შეიძლებოდა. სწორედ იმხანად იქაურობა თანდათან სამხრეთაზიელებით, მათ შორის ინდონეზიელებით დასახლდა. იმავე პერიოდში ფეხი მოიკიდეს ოკეანეთის კუნძულებზეც. თუმცა, სად იყო მაშინ იმდენი კუნძული. ისინი სოკოებივით მას მერე მომრავლდნენ, რაც წყალმა მიიტაცა დედამიწა. ჰოდა, ეს კუნძულელები ასე დარჩნენ გარიყულნი და გარე სამყაროს მოწყვეტილნი. ისინი 1788 წლამდე უცხოტომელებს არ შეუწუხებიათ, მერე კი იქაურობას ჯერ ერთი ხომალდი მიადგა, მერე მეორე, მესამე...

ევროპელებს იქ დახვდათ დედიშობილა აბორიგენი მოსახლეობა, რომელთა ნაწილი კაციჭამიები იყვნენ, მაგრამ მაინც თავიანთი წეს-კანონებით ცხოვრობდნენ. ევროპელებმა მათ თავიანთი ადათ-წესები და ათასი უბედურება დაატეხეს თავს, იმავდროულად კი ცივილიზაციაც შეიტანეს. ევროპელებმა კუნძულ-კუნძულ აითვისეს ოკეანეთი, მაგრამ იქაურობა დღემდე მეტ-ნაკლებად ეგზოტიკურ მხარედ რჩება თავისი ტროპიკული ბუნებით, აბორიგენებით, მათი ტრადიციებითა თუ ცხოვრების წესით. მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ეგზოტიკური მწვერვალიც იქაური უმაღლესი პიკი ჯაიაა.

უცნაურია, მაგრამ ეს 4884-მეტრიანი სიმაღლის მწვერვალი მხოლოდ შემთხვევით აღმოაჩინეს ევროპელებმა. მაშინ ინგლისელი ექიმი უოლსტონი ახალი გვინეის ჯუნგლებში კანიბალების გარემოცვაში კუნძულის შესასწავლად რომ დადიოდა, შორს აყუდებული დიდი მთა დაინახა. ეს სწორედ ჯაია იყო, რომელსაც ირიან ჯაიასაც უწოდებენ, რაც მის ირგვლივ გაუვალ ჯუნგლებსაც ჰქვია.

ჯაიას ევროპელები კარსტენსაც უწოდებენ. ჯაიას მისადგომებიდან სამშობლოში დაბრუნებულმა უოლსტონმა, დიდი ბრიტანეთის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების წინაშე 1920 წელს მოხსენებით რომ გამოვიდა, განაცხადა, იქაური ადგილობრივი მკვიდრნი დასავლეთის ხალხის ზეგავლენისგან უნდა დავიცვათო.

„იქ ცხოვრობს ისეთი ხალხი, რომლებსაც თეთრი რასის წარმომადგენლებთან ჯერ არანაირი ურთიერთობა არ ჰქონიათ. იქ, ღიაცის ქვეშ თავისებური ეთნოლოგიური მუზეუმია, სადაც ქალებიცა და კაცებიც თავიანთი თავის ბატონ-პატრონნი არიან და თავადვე განსაზღვრავენ საკუთარ ბედ-იღბალს" — თქვა უოლასტონმა, მაგრამ მის პროექტსა და მოწოდებას განხორციელება არ ეწერა.

გასული საუკუნის 30-იანი წლების შუა-



ჯაია

ში იქ ჰოლანდიელები ჩავიდნენ და მინერალების უდიდესი საბადოები აღმოაჩინეს. აღმოჩენას, რაღა თქმა უნდა, მისი მოპოვება-დამუშავება მოჰყვა. გაჩაღებული ინდუსტრიის გარდა ჰოლანდიელები ეგზოტიკური ბუნებისთვისაც იცლიდნენ, სადაც ფოტონადირეობაც გაეჩაღებინათ. მათ მიერ გადაღებული სურათები ჰოლანდიურ და სხვა ქვეყანათა გაზეთებშიც უხვად დაისტამბა. იმ ფოტოებში ჯაიას ეგზოტიკასაც დიდი ადგილი დაეთმო, რამაც დასავლელი მთამსვლელების ფანტაზია გააღვივა და ალპინისტური სალღერღერლიც აუშალა.

1962 წელს ჯაიაზე მთამსვლელთა პირველი ექსპედიციაც მოეწყო, რომელსაც ავსტრიელი ჰაინრიხ ჰარერი ჩაუდგა სათავეში.

ჰარერი საკმაოდ გამოცდილი ვეტერანი მთამსვლელი გახლდათ. მას სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, ისიც ეყოფოდა საამაყოდ, რომ 1938 წელს ალპებში თვით ეიგერზე (3974მ) ტექნიკურად ძალზე რთული მარშრუტი ჩრდილოეთიდან პირველმა გაიარა გერმანელ ანდერლ ჰეგრმაიერთან, ლუდვიგ იორგთან და თანამემამულე ფრიც ჰარერთან ერთად.

4 წლის მერე ჰაინრიხ ჰარერი ჰოლანდიელ ბერტ ჰოიზინგსთან, ავსტრალიელ რასელ კიპაქსთან და ახალზელანდიელ ფილიპ ტემპლთან ერთ თოკში ჩაება, ახალ გვინეაში კანიბალებით სავსე ჯუნგლებში მეტად სახიფათო გზა გაკვალა და ჯაიაზეც, ისე, როგორც ეიგერზე, ჩრდილოეთიდან პირველსავე ცდაზე გზა გაკვალა. მერე დასავლეთიდანაც შეუტია და კვლავ პირველივე ცდაზე მიზანს მიაღწია. ბოლოს მათმა მიმდევრებმაც გაიარეს ეს გზები და იქ ახალი მარშრუტებიც გაკვალეს.

1970 წლამდე მიზანს სამხრეთიდანაც მიაღწიეს, ეს გზები კი იყო კლდოვანიც, თოვლყინულოვანიც და კომბინირებულიც. მერე,



ჯაიას კლდოვან ფერდობზე



ეს პატარა დანე წინაპართა კანიბალიზმს ივიწყებს და მთამსვლელობას იწყებს

სამწუხაროდ, ჯაიაზე მთამსვლელების რაოდენობამ მკვეთრად იკლო, ოღონდ არა იმიტომ, რომ ალპინისტებს სუდირმანის მასივზე აღმართული ამ მწვერვალისადმი ინტერესი მიუნელდათ.

საქმე ის იყო, რომ ინდონეზიის მთავრობამ სუდირმანის მასივთან მინერალების მოპოვებაში დასაქმებული უცხოური კომპანიების მოთხოვნით მთამსვლელთა ექსპედიციები შეზღუდა.

ჯაიაზე ასვლის ნებართვას ახლაც ინდონეზიის მთავრობასთან ერთად ის კომპანიებიც ხელმომჭირნედ იძლევიან. მაგალითად, ჯაიაზე თუ დასავლეთიდან აპირებთ ექსპედიციას, ამის უფლება მთავრობასთან ერთად იქ მოსაქმე ამერიკულ ფირმა „ფრიპორტ მაინინგსაც" უნდა სთხოვოთ.

კანადელი მთამსვლელი პატრიკ მოროუ, ვინც ყველა კონტინენტის უმაღლესი მწვერვალი პირველმა დალაშქრა, ამბობს, რომ ჯაიაზე ასვლის გასაღები მწვერვალზე კი არა, ასვლის უფლების მოპოვებაშიაო.

ამ სირთულეს ემატება მწვერვალამდე მისასვლელი გზები, რომლებიც გაუვალ ჯუნგლებშია. მწვერვალის ძირამდე, სადაც საბაზო ბანაკს აწყობენ, უახლოესი სოფელი ილაგა 5 დღის სავალზეა. იქ დანები ცხოვრობენ. ზოგიერთ მათგანს კანიბალობა დღემდე არ დავიწყებია და თითქმის ისევ დედიშობილანი ჯუნგლებში დარბიან. მათ მთამსვლელები მებარგულებად იყენებენ და ისინიც ფეხშიშველნი მძიმედ დატვირთულნი გზას მიუყვებიან.

ბოსტონელი მთამსვლელი მარკ ბოუენი ირწმუნება, ძილის წინ ეს აბორიგენები უძველეს სიმღერებს სამ-ოთხ ხმაში ასრულებენო, მაგრამ იმ „იავნანაში" ჩაძინებული ფრთხილად უნდა იყო, რომელიღაც დანს თქვენი შეჭმა რომ არ მოუნდესო.

ეს ყოველივე ჯაიას, რომელიც სხვა დროსა და სივრცეშია, უფრო მიუწვდომელს ხდის, თუმცა, მის ფერდობებზე ამავალი მარშრუტები მთამსვლელთათვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენს.

და ბოლოს, იმასაც ვიტყვით, რომ ჯაია ქართველ მთამსვლელთაგან ჯერ არავის დაულაშქრავს, მის „შემცვლელ" კოსციუშკოზე კი, რომელიც ავსტრალიის უმაღლესი მწვერვალია, რუსთაველი ბენო ქაშაკაშვილი ქართველთაგან პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი ამსვლელია.

ქაშაკაშვილი კოსციუშკოზე 2000 წელს, სიდნეის ოლიმპიური თამაშების დღეებში ავიდა. მაშინ იგი ერთ თავის მეგობართან ერთად სიდნეიდან რამდენიმე დღით გაუჩინარდა. დაბრუნებულს, როცა არ მოვეშვით, გვითხრა, კი ბატონო, კოსციუშკოზე ავედი, მაგრამ ეს რა გაზეთში გამოსაჭენებელია, როცა ავსტრალიის უმაღლესი მწვერვალი ერთი პატარა კოხტაგორაზე ცოტა მაღალია და იქ ყველა ადის, ვისაც მოესურვება. აგერ ჩემი მეგობარი მწვერვალზე არასოდეს ყოფილა, მაგრამ იოლად ამოვიდა. მთა თოვლიანი იყო. კოსციუშკოზე სხვებიც ამოვიდნენ, ზოგი უბრალოდ მის დასალაშქრად, ზოგიც იქიდან თხილამურებით დასაშვებადო.

**ავთანდილ გურასაშვილი**



ავსტრალიის მთები



ჯუნგლების ბინადარი

# ლაბაძემ აგასი გააწვალა

სან ხოსე. ჰარდი
საპრიზო 380 ათასი $

**პირველი წრე**

**ანდრე აგასი (2, აშშ) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 7:6 (7:4), 6:4; მარდი ფიში (3, აშშ) — ალექს რაიჩელი (აშშ) 6:1, 6:4; როგი ჯინეპრი (5, აშშ) — სისილ მამიტი (აშშ) 6:4, 6:3; ვინსენტ სპედია (6, აშშ) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:4, 6:2; სირილ სოლნიე (საფრანგეთი) — ბრაიან ვაჰალი (აშშ) 6:3, 7:6 (7:4)**

ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში დამარცხებიდან ათდღიანი პაუზის შემდეგ ანდრე აგასიმ ჩოგანი კალიფორნიულ სან ხოსეში გააქნია. საპირველწრეო მეტოქედ მას წილისყრამ ქართველი ირაკლი ლაბაძე არგუნა და ჩვენიანის სასახელოდ უნდა ითქვას, 33 წლის არმენოამერიკელს იოლი გამარჯვება სულაც არ რგებია. აგასის ძალზედ გაუჭირდა ლაბაძის ხათქუნა მოწოდებისთვის კონტრარგუმენტების მოძებნა, თუმცა დაძაბული ბრძოლის შედეგად ეს მაინც მოახერხა და მომდევნო წრისკენაც გაივაკა. შეგახსენებთ, რომ რვაგზის სლემტიტულოსან აგასის ქართველი მეჩოგნე აქამდე ორჯერ დაპირისპირებოდა — მათი პირველი შეხლა, რაიც 2001 წელს შანხაური ტურნირის პირველ წრეში მოხდა, სწორედ მისი გამარჯვებით დასრულდა, შარშან, ჰიუსტონური თიხნარტურნირის მეორე წრეში კი უმჯობესი უკვე აგასი იყო.

სხვაფრივ — დიდ კორტს ერთწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა 25 წლის ნიჭიერი გერმანელი მოთამაშე ტომი ჰაასი. ჰაასს 2002 წლის ოქტომბრიდან ანუ პარიზული მასტერსტურნირის მესამე წრეში როჯერ ფედერერთან დამარცხების შემდეგ აღარ უთამაშია. იმ წლის მაისში — ეგებ თქვენც გახსოვდეთ — ის რეიტინგსიის მეორე საფეხურამდეც კი აღზევდა, მაგრამ ჯერ დეკემბერში, მერე კი უკვე შარშან მარჯვენა მხარზე გადატანილმა ოპერაციამ კალაპოტიდან ამოაგდო. სამწუხაროდ, მისი დაბრუნება წარუმატებელი გამოდგა — ჰაასმა ვერაფერი გააწყო რიგიან ფორმაში მყოფ ვინს სპედიასთან. თუმცა ნამატჩევს ის მაინც კმაყოფილობდა — მიხარია, რომ დავბრუნდი და კარგი ფორმის აკრეფა კი მხოლოდ დროის ამბავიაო.

მილანი. ხალიჩა
საპრიზო 380 ათასი ევრო

**პირველი წრე**

**ტომი რობრედო (3, ესპანეთი) — ალექს კორეჩა (ესპანეთი) 6:4, 7:5; გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 7:6 (7:2), 3:6, 7:6 (7:3); ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:3, 6:4**

ტომი ჰაასის გარდა ხანგრძლივპაუზიანი შესვენებების შემდეგ კორტს 2001 წლის უიმბლდონის ჩემპიონი გორან ივანიშევიჩიც მოუბრუნდა.

32 წლის ხორვატმა 2002 წელს მარცხენა მხრის ოპერაცია გაიკეთა და შარშან ივნისში, სტელა არტუას ტურნირზე რომ გამოვიდა, მხარი ჯერ ბოლომდე მოშუშებული არ ჰქონდა. ამის გამო, მას კვლავ განზე გადგომა და მკურნალობა დასჭირდა. ულირახთან მისმა იმდღევანდელმა გარჯამ და ჯამში მოქუჩებულმა 25 ეისმა კი, ვგონებ, ცხადყო, რომ გორანი ახლა ფიზიკურადაც ჯანზეა და სხვაფრივაც რიგიანად უნდა იყოს.

ჩოგბურთი მომენატრა და არა ვარჯიშიო, ამბობდა ნამატჩევს ივანიშევიჩი. ეს ჩემი ბოლო მცდელობაა, ზეპურ მარაქას დავუბრუნდე და უმთავრეს მიზნებად უიმბლდონსა და ათენის ოლიმპიურ თამაშებს ვისახავო.

**ლევან ძელაურაძე**





ოდესღაც ირაკლი ლაბაძეს ანდრე აგასი დაუმარცხებია. ახლა მათი შეხლა სულ სხვაგვარად დასრულდა



# ათენიდან მარათონი აღარ ჩანს

**მარათონელთა** შეჯიბრება ათასი მოულოდნელობითაა აღსავსე. ვის რა პრობლემას უმზადებს ეს 42 კილომეტრიანი და 195 მეტრიანი გზა, კაცმა არ იცის. ახლა მარათონელთა ყველაზე ცნობილ ისტორიულ გზას წყალი შედგომია. საუბარია ათენსა და სოფელ მარათონს შორის გაჭიმულ შარაზე, სწორედ ამ გზაზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე 490 წელს ბერძენმა ჯარისკაცმა ფილიპიდემ სპარსელების ძლევის ამბის ჩამოსატანად მარათონიდან ათენამდე რომ ირბინა. ამბავიც ჩამოიტანა და უმალ სული დალია.

ფილიპიდეს გმირების აღსანიშნავად მარათონელთა პირველი შეჯიბრებაც სწორედ ამ გზაზე გაიმართა 1896 წელს, როცა ათენის ოლიმპიური თამაშები ჩატარდა.

ამ გზაზე მერეც ბევრჯერ გამართულა მარათონელთა შეჯიბრება და იგივეს აპირებენ წლეულს ათენის ოლიმპიურ თამაშებზეც. თუმცა, როგორც ვთქვით, ამ გზას წყალი შესდგომია.

წყლის შედგომაში ვგულისხმობთ ამ გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოების შეფერხებას.

პრობლემა, რომელზედაც საბერძნეთის მთავრობა ჩივის, გახლავთ გზის მშენებლებსა და სამუშაოს დამკვეთთა შორის არსებული ფინანსური უთანხმოება. და მაინც, მთავრობის წევრთა თქმით, ეს ხელს არ შეუშლის ოლიმპიადის დღეებში ამ გზაზე მარათონული რბენის გამართვას.

„იმ ფირმას, რომელიც გზის რეკონსტრუქციას აწარმოებს, არჩევანი შევთავაზეთ: ან ისინი მოაგვარებენ მუშებთან პრობლემებს, ან ჩვენ მოვძებნით გზის მშენებელ სხვა ორგანიზაციას — განაცხადა საბერძნეთის კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა ნასოს ალევრასმა და იქვე დასძინა, რომ გზასთან დაკავშირებული სამუშაოების 70 პროცენტი უკვე შესრულებულიაო.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

საკალათბურთო კლუბი
ბათუმის „ბასკო“ მწუხარებას
გამოთქვამს დიდი ქართველი
კალათბურთელის, ოლიმპიური
და ევროპის ჩემპიონის
**მიხეილ ქორქიას**
გარდაცვალების გამო
და თანაუგრძნობს
განსვენებულის ოჯახს



# ევროლიგა

**მეორე ჯგუფური ეტაპი. XIII ტური. 11 თებერვალი**

**A ჯგუფი**

აეკ 91:87 ოლიმპია

პო ორტეზი 77:83 ულქერი

**C ჯგუფი**

ბენეტონი 91:65 ალბა

ტაუ 73:67 პამესა



## რეგულარული ჩემპიონატი




ტამპელმა კორი სარიჩმა ტორონტოელი ოუენ ნოლანი ასე „დააწყნარა“

# პინგვინები ყინულზე გაიშხლართნენ

10 თებერვალი

**კოლორადო 1:1 აილენდერსი**
*0:0 1:1 0:0 0:0*
**1:0 კარია (22), 1:1 ჩერკავსკი (24)**

წლევანდელმა ოლ სტარმა კოლორადოელ მეკარე ფილიპ სოვს საკუთარი თავის რწმენა ჩაუნერგა. ახალგაზრდა ვარსკვლავების მატჩში გაბრწყინების შემდეგ ჩატარებულ შეხვედრაში იგი შეუდარებელი იყო — 35 დარტყმა მოიგერია. აქედან 5-6 პრაქტიკულად აუღებელი გახლდათ, მაგრამ 23 წლის გოლკიპერმა სასწაულებრივად გადაარჩინა კარი. განსაკუთრებით ოვერტაიმში გამოიჩინა თავი, როცა ტრენტ ჰარტერს (სხვათა შორის, ისიც იმავე მატჩის მონაწილე იყო) ზედიზედ ორჯერ არ გაატანინა. „ფილი დღეს ფანტასტიკური იყო. მან გრანდიოზული სეივები გააკეთა და ქულა შეგვინარჩუნა“ — შეაქო პარტნიორი კოლორადოელმა პოლ კარიამ.

არანაკლებ საიმედოდ თამაშობდა სოვის აილენდერსელი კოლეგა რიკ დიპიეტრო. 2000 წლის დრაფტის №1-ის ამგვარ ათამაშებას კარგა ხანია, ელოდნენ და მხოლოდ ამ სეზონში დაიწყო ავანსების გამართლება. რიკი უკვე აცხადებს პრეტენზიას პირველ მეკარეობაზე.

ისედაც მიხვდებოდით, რომ მიუხედავად ცოტა გოლისა, თამაში ფრიად საინტერესო გამოდგა. „აილენდერსის“ კაპიტანმა მაიკ პეკამ თქვა კიდეც, ასეთი 1:1 ზოგ 4:3-ს მირჩევნიაო.

**პიტსბურგი 3:6 ბოსტონი**
*2:2 1:2 0:2*
**1:0 მელოუნი (5), 1:1 სამსონოვი (12), 1:2 ლაპოინტი (14), 2:2 მელოუნი (19), 2:3 კნუბლი (30), 3:3 ბრედკი (34), 3:4 მაკგილისი (36), 3:5 როლსტონი (47), 3:6 ტორნტონი (60)**

თუ ასე წავიდა საქმე, „პიტსბურგი“ მალე ყველა ანტირეკორდს დაამხობს. „ბოსტონთან“ შინ მეთერთმეტედ წაგებით მან ლიგის ანტირეკორდი გაიმეორა. საერთოდ კი „პინგვინები“ ზედიზედ მეთორმეტედ დამარცხდნენ, რაც საკლუბო ანტირეკორდის გამეორებაა.

**ფილადელფია 4:1 ნიუ ჯერსი**
*1:0 1:0 2:1*
**1:0 განიე (15), 2:0 მარკოვი (23), 3:0 ჰანდზუში (41), 3:1 ნიდერმაიერი (44), 4:1 რეკი (51)**

„ფილადელფიას“ ორი წამყვანი მეკარე ჯეფ ჰაკეტი და რობერტ ეში დაშავებული ჰყავდა და ამიტომ ვეტერანი გოლკიპერი შონ ბურკი გადაიყვანა „ფინიქსიდან“, თუმც მგონი, იჩქარა. უკვე მესამე მატჩია, ფინელი ახალბედა ანტერო ნიიტიმიაკი საოცრად საიმედოდ დგას კარში — სამივე შეხვედრაში მხოლოდ თითო-თითო გოლი გაუშვა.

**კალგარი 5:2 ატლანტა**
*1:2 1:0 3:0*
**0:1 კოვალჩუკი (2), 1:1 მაკამონდი (13), 1:2 კოვალჩუკი (20), 2:2 ლომბარდი (25), 3:2 მაკამონდი (54), 4:2 იგინლა (56), 5:2 იგინლა (60)**

**ტამპა 4:4 ტორონტო**
*0:0 2:2 2:2 0:0*
**1:0 სან ლუი (2), 1:1 სუნდინი (30), 2:1 ლეკავალიე (34), 2:2 რაიფლი (37), 3:2 ლეკავალიე (43), 4:2 რიჩარდსი (43), 4:3 ნოლანი (46), 4:4 რობერტსი (60)**

**ოტავა 3:1 სენტ ლუისი**
*3:0 0:0 0:1*
**1:0 ალფრედსონი (2), 2:0 ჰოსა (15), 3:0 ჰოსა (17), 3:1 დანტონი (50)**

**ბუფალო 2:1 სან ხოსე**
*1:1 0:0 1:0*
**0:1 რიჩი (9), 1:1 ბრიარი (15), 2:1 ბრიარი (41)**

**ფლორიდა 2:1 მონრეალი**
*0:1 2:0 0:0*
**0:1 მარკოვი (16), 1:1 კოზლოვი (22), 2:1 კოზლოვი (22)**

**მინესოტა 1:3 ლოს ანჯელესი**
0:0 1:1 0:2
**0:1 ბელანჟე (29), 1:1 ბრიუნეტი (40), 1:2 კლეტი (49), 1:3 ლაპერიე (60)**

# ჰაშეკი ძარსგარეთ დარჩა

**დიდხანს** იდუმალებით იყო მოცული, დაბრუნდებოდა თუ არა დომინიკ ჰაშეკი ტრავმის შემდეგ. თითქოს ასახელებდნენ მისი გამოჯანმრთელების დროს, მაგრამ ყოველთვის რაღაც უშლიდა ხელს და კვლავ ახალი თარიღი ჩნდებოდა, თან სხვადასხვა მიზეზს იშველიებდნენ. ყველფრიდან ჩანდა, რომ „დომინატორის“ საქმე ვერ იყო კარგად. ახლა კი ყველაფერს ნათელი თავად ჰაშეკმა მოჰფინა. სახელოვანმა მეკარემ სამშაბათს საქვეყნოდ განაცხადა, რომ საზარდულის ტრავმა ვერ მოირჩინა და სეზონის ბოლომდე ველარ დაბრუნდება.

წლეულს ჩეხმა მხოლოდ 14 მატჩი ჩაატარა. კიდევ კარგი, „დეტროიტმა“ ვერ მოახერხა მეორე ძვირადღირებული მეკარის კერტი ჯოზეფის გაყიდვა და ახლა ამით ძალიან კმაყოფილია, ჯოზეფი ძველებურად ათამაშდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნახტომი, სალსა და ნომერი

*ხავიერ სოტომაიორი კუბური სპორტის ერთი დიადი სახელია, სიმაღლეზე ხტომის ჩემპიონი და რეკორდსმენი. სპორტიდან წასულმა სოტომაიორმა იმპრესარიობას მიჰყო ხელი და სალსას მუსიკის ლათინთა შორის პოპულარული ბენდი შეადგინა. სოტომაიორის ყველაზე სამახსოვრო მიღწევა 1993 წელს სალამანკაში, მეორე ცდაზე მოხერხებული 2,45-მეტრიანი ნახტომია. იმავ წელს სოტომაიორი მსოფლიო ჩემპიონი შეიქნა შტუტგარტში და ეს „მერსედესიც“ მაშინ აჩუქეს. ნომერი ცხადია — 245.*







# საპაჭროდ მზადაა

*პორტუგალია ელის ევრო 2004-ს და ემზადება. კონტინენტის საფეხბურთო შეჯიბრის ლოგო-სიმბოლოებით აღბეჭდილი ორი ათასამდე ნივთი სავაჭრო-ქსელისთვის უკვე გამზადებულია. ამათ შორის მთავარი, რა თქმა უნდა, ცეროდენა კინაშია, რვა ევროიანი მონეტა კი სანახევროდ კი ნაღდი ვერცხლია.*






# ობერჰოფის თოვლებში

*აღმოსავლეთგერმანიის ალაგ ობერჰოფის ახლოს გახურებულა მსოფლიო ჩემპიონატი ბიატლონში. 15-კილომეტრიანი შეჯიბრი შივ ჩაყოლებული სროლებით რუსის ოლგა პილიოვას მოუგია — გადაუსწრია თანამემამულე ალბინა ახატოვასთვის და უკრაინელ ალიონა პეტროვასთვის. დაჯილდოების ცერემონიალზე თილისმათა ახლოს ხალისით ჩამომდგარა გერმანიის პრეზიდენტი იოჰანეს რაუ.*






# ანკესები პრეზიდენტისთვის

*ამერიკაში საარჩევნო კამპანია გახურდა და ჯორჯ ბუშიც გამოჩნდა სახალხო ადგილებში. მისურის შტატში ყოფნისას პრეზიდენტმა სპრინგფილდის მეთევზეთა მაღაზიაში შეიარა. კარგი მეთევზეა და ანკესებისაც ბევრი გაეგება.*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge